საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 238 (517) ხუთშაბათი, 19 ნოემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი.

ნუხელ შევიტყვეთ

აფხაზეთის ამბები

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 17 ნოემბერს მოწინააღმდეგე მკვეთრად გააქტიურდა და საარტილერიო ცეცხლი დაუშინა ქალაქ სოხუმსა და ჩვენს წინა ხაზს. რამდენიმე ჭურვი აფეთქდა კურორტ სინოპთან და კომპოზიტორთა სახლების ტერიტორიაზე. მსხვერპლი არ არის. ჩვენი არტილერიის საპასუხო ცეცხლით მოწინააღმდეგე იძულებული გახდა სროლა შეეწყვიტა.

დღის სამი საათისათვის რუსეთის სამხედრო თვითმფრინავმა რაკეტებით შეუტია, როგორც ჩვენს, ისე აფხაზთა საბრძოლო პოზიციებს.

დაახლოებით 18 საათისათვის მოწინააღმდეგე გადმოვიდა შეტევაზე. მტერი უკუგდებულია.

ლოკალური შეტაკებები იყო ოჩამჩირის რაიონში. მსხვერპლი არ არის.

დღის 4 საათზე კი გუდაუთის რაიონის ბომბორას აეროდრომზე გაიცვალა ტყვეები. განთავისუფლებულია 81 ქართველი სამხედრო მოსამსახურე.

• • •

სოხუმის ერთ-ერთი მოქალაქის ბინაში შინაგან საქმეთა სამმართველოს (უფროსი თენგიზ რაფავა) მუშაკებმა აღმოაჩინეს სტაციონარული რადიოსადგური. მიმდინარეობს გამოძიება.

იოსებ გოგეჩია.

• • •

ვერ ვიტყვით, რომ ჩვეულებრივზე ადრე მოსულიყოს თოვლი აფხაზეთის მთების კალთებზე. მაგრამ მის მწვანე ხეობებსა და ლაჟვარდოვანი ზღვის პირას უკვე აცივდა. და თუმცა ჰაერის ტემპერატურა სოხუმის მახლობლად უახლოვდება საშუალო ნორმას — 8 გრადუსი სითბოა, მის უშუქოდ და გაუთბობლად დარჩენილ სახლებში ზამთრის სუსხია. მიუხედავად ამისა, ფრონტისპირა ქალაქის მცხოვრებლები მხნედ არიან, უძლებენ სიძნელეებს.

თენგიზ ჯიბუტი.

●

„კათარზისის" ინიციატივით

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული არმიის თითოეული სამხედრო მოსამსახურე მიიღებს სამკერდე ჟეტონს, რომელზეც აღნიშნული იქნება მისი სისხლისა და რეზუს-ფაქტორის ჯგუფი. ამან მებრძოლის მძიმედ დაჭრის შემთხვევაში მედიკოსებს უნდა მისცეს ინფორმაცია მის შესახებ, დაზოგოს დრო, რომელიც დასჭირდება სისხლის გამოკვლევას.

— ამგვარი ნიშნებით სარგებლობენ ჯარები მთელ ცივილიზებულ სამყაროში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს აქციის ინიციატორმა, სრულიად საქართველოს ჰუმანიტარული ასოციაციის „კათარზისის" პრეზიდენტმა ზაურ ალადაშვილმა. — ჩვენ კი, სამწუხაროდ, ჯერ კარგად ვერ გაგვიგია სიცოცხლის ფასი. აფხაზეთში ნამყოფი ჩვენი წარმომადგენლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მსხვერპლის მიზეზი ყველაზე ხშირად სისხლის დაკარგვაა. ჩვენს ინიციატივას გამოეხმაურა თბილისის საავიაციო ქარხანა, რომელმაც უფასოდ დაგვიმზადა საჭირო რაოდენობის რვა ტიპის ასეთი ჟეტონი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი - მოვლენა კომენტარი

ედუარდ შევარდნაძე: ვფიქრობ, ძირითადად საერთო აზრისა ვართ: აფხაზეთი საქართველოა. ასევე სწორია ისიც, რომ საქართველო აფხაზეთია, და არ არის და არც იქნება საქართველო უაფხაზეთოდ. ასეთია ის მიჯნები, რომლებითაც შეგვიძლია მოვნიშნოთ ჩვენი დიალოგის სივრცე

აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის გამო

ეს საკითხი 17 ნოემბერს განიხილა საქართველოს პარლამენტმა

17 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი დახურულ სხდომაზე შეუდგა „აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის" საკითხის განხილვას.

თავისი გამოსვლის დასაწყისში საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა:

„ის, რაც ახლა მინდა წარმოგიდგინოთ, მოხსენება არ არის, ეს უფრო განსჯაა, ხმამაღლა ნაფიქრია, მასალაა, რომელიც განხილვისა და მსჯელობის შემდეგ აქ გამოთქმულ მოსაზრებათა გათვალისწინებით და გამოყენებით შეიძლება საფუძვლად დაედოს საპარლამენტო დოკუმენტს".

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ უპირველესად ყურადღება გაამახვილა ისტორიული ფესვების დამახინჯების, გამრუდების ცდებზე, სწორედ აქედან იღებს სათავეს აფხაზურ-ქართული კონფლიქტი, რომელმაც საბოლოო ანგარიშით იმ საშინელ ტრაგედიამდე მიგვიყვანა, რასაც ძმათა შორის დაღვრილი სისხლი ჰქვია. ჩვენ ყველამ ვიცით, აღნიშნა ორატორმა, რომ ისტორიამ სწორედ საქართველოს არგუნა ბედუკუღმართობის გამო მრავალი დევნილი ეთნოსის თავშესაფრის სასახელო და ამასთანავე ტრაგიკული ხვედრი. ამასთან საქართველოს არასოდეს არავისი მიწა არ მიუთვისებია და არც არავინ გაუძევებია თავისი საზღვრებიდან.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა რეტროსპექტულად მიმოიხილა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მთლიანი ისტორია და ყურადღება დაუთმო როგორც წმინდა ისტორიულ-ფაქტობრივ, ისევე კულტურულ-ფსიქოლოგიურ მომენტებს, რომლებიც ამ ორი ხალხის ურთიერთობის ქვაკუთხედად გვევლინება. საუკუნეთა განმავლობაში გვერდიგვერდ ვცხოვრობდით, აღნიშნა ორატორმა, ჩვენ შორის ნათესაობა დამკვიდრდა, იქმნებოდა ოჯახები, იბადებოდნენ ბავშვები, რომლებისთვისაც ქართულიც და აფხაზურიც მშობლიური ენა იყო. ერთნაირი თუ არა, მსგავსი ტრადიციები, ცხოვრების წესი, ყოფის კულტურა, ფოლკლორის ერთმანეთს გადაჭდობილი ფესვები გვაქვს. ეს განაგონით როდი ვიცი. სოფელ-სოფელ მივლია მთელ აფხაზეთში, დიდხანს ვყოფილვარ სტუმრად ოჯახებში, მეგობრები გამიჩენია და მეც მეგობრად მიგულვია ისინი, დღესაც ასეთად ვრჩები.

შემდეგ ბატონმა შევარდნაძემ გააანალიზა იმპერიული მანქანის მთელი ის სისტემა, მთელი იმ მუშაობის პრინციპი, რომელიც მეთოდურად მეორდება იმპერიის ტერიტორიაზე მდებარე ყველა ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ისტორიაში. ამ თვალსაზრისით მან ერთ ფოკუსში მოათავსა ოციანი წლების დამდეგი, როცა საქართველომ ცოტა ხნით დამოუკიდებლობა მოიპოვა, სამოცდაათიანი წლების მიწურული, როცა ტოტალიტარული სისტემის კარკასს დაშლის პირველი ნიშნები დაეტყო, და ოთხმოციანი წლების დამლევი, ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი ქართული სახელმწიფოს გარიჟრაჟი. გამომსვლელმა ერთ ფოკუსში მოათავსა ის ფსიქოლოგიური სტერეოტიპიც, რომელიც მუდამ განსაზღვრავდა იმპერიის ბოროტი პოლიტიკური თამაშის სტილსა და ხელწერას და რომელიც მიზნად ისახავდა ისტორიული ფესვების გაწყვეტას ხალხებს შორის, უპირველესად კი ადამიანის ცნობიერებაში. დიდი როლი შეასრულა „ქართული შოვინიზმის" მითმაც და მისმა სტალინისა და ბერიას ფენომენთან გაიგივებამ, აგრეთვე საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოსვლის ფსევდოსამართლებრივი არგუმენტაციის შემუშავებამაც. უნდა ვაღიაროთ, აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, ყველაფერი ეს კეთდებოდა მიზანდასახულად და საზრიანად. ასე მივედით იმ ჩიხამდე, რომელიც პოლიტიკური დიალოგის უგულებელყოფის გამო საშინელ ტრაგედიად განსხეულდა.

ამის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ სამხედრო კონფრონტაციის ის პერიპეტიები მიმოიხილა, რომლებმაც ასევე მეთოდური და მიზანდასახული განვითარება პოვა და რომლებიც იყო მხოლოდ საბაბი, თავისებური კატალიზატორი იმ ცეცხლის აგიზგიზებისათვის, რასაც დიდი ხანია ამზადებდა იმპერიული მანქანა.

10 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო ვითარების შემოღების შესახებ". ეს ღონისძიება ჩვენი და ჩვენი მეზობელი ქვეყნის სასიცოცხლო აუცილებლობით იყო გამოწვეული. ჩვენ მიერ მოწვეულ კვალიფიციურ ექსპერტ-პროფესიონალთა აზრით, აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, ძალები, რომლებიც გამოვყავით, შეესაბამებოდნენ დასახულ ამოცანას — დაეცვათ რკინიგზის ტრანსპორტი ლესელიძიდან სადახლომდე. არავითარი სხვა ამოცანა მათ წინაშე არ დასმულა, მაგრამ ოპერაციის დროს ეს ამოცანა მკვეთრად შეიცვალა აფხაზთა და ჩრდილოკავკასიელების ფორმირებათა პროვოკაციული თავდასხმისა და შემდგომი შეიარაღებული წინააღმდეგობის შედეგად. ომის პერიპეტიების თანამიმდევრული განხილვის შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა დასძინა: „ერთს ჩვენს დიდ თანამემამულეს, თანამედროვეობის გამოჩენილ ფილოსოფოსს მერაბ მამარდაშვილს ეყო ვაჟკაცობა ეთქვა: ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგასო. მე თავს ნებას მივცემ დავძინო: სიმართლის გარეშე არ არსებობს სამშობლო, არ არსებობს მომავალი. და ჭეშმარიტების გულისთვის, მაშასადამე, სამშობლოსა და მისი მომავლის, ქართველების, აფხაზებისა და ყველა იმათი უკეთესი მომავლის გულისთვის, ვინც ცხოვრობს და იცხოვრებს ამ მიწაზე, ვალდებული ვარ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვა. ვთქვა, რატომ მოხდა ის, რაც მოხდა და რა უნდა გავაკეთოთ მომავალში".

შემდეგ ბატონი ედუარდ შევარდნაძე აფხაზური სეპარატიზმის პრობლემას შეეხო ისევ ისტორიული თვალთახედვით. მან აქაც დიდი ყურადღება დაუთმო იმას, რომ ისტორია მეორდება, რომ იმპერიული აზროვნება ერთსახოვანია რუსული თვითმპყრობელობიდან დღემდე. გადის წლები, იცვლება ლოზუნგები, დებულებები, იცვლებიან მმართველები, აღნიშნა ორატორმა, მაგრამ უცვლელი რჩება მისწრაფება გამოიყენონ „აფხაზეთის კოზირი" იმპერიულ თამაშში. აქვე პარლამენტის თავმჯდომარემ მოკლე პოსტულატებად ჩამოაყალიბა ის უცილო ჭეშმარიტებანი, რომლებსაც ყველა რეალისტურად, საღად მოაზროვნე აფხაზი თუ ქართველი იზიარებს. ეს ჭეშმარიტებანი ურთიერთთანხმობის, მშვიდობის, ძმობის სულისკვეთებით არის აღბეჭდილი, მაშინ როცა აფხაზურ სეპარატიზმს ომის, პროიმპერიული ორიენტაცია ახასიათებს. სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა იმპერიული მანქანის მიერ აფხაზი ხალხის, განსაკუთრებით აფხაზი ახალგაზრდობის ცნობიერებაში წვეთ-წვეთად შთანერგილ იმ ბაცილაზე, რომელიც მათ უკარნახებს, რომ ეს მიწა მხოლოდ აფხაზთა სამკვიდროა და ქართველები მოსულები, დამპყრობლები, ასიმილატორები არიან. ამ თეზისის დასადასტურებლად მოჰყავთ აფხაზი მოსახლეობის მატების ამსახველი გაყალბებული სტატისტიკის არგუმენტები. ამასთან ყველაფერი კეთდება იმის დასამტკიცებლად, თითქოს ეს შეგნებული, მიზანმიმართული პოლიტიკა იყოს. მცირე ისტორიული ექსკურსის შემდეგ ბატონმა ე. შევარდნაძემ დასძინა: „დღეს, როცა აფხაზეთიდან განდევნილ ქართველთა რიცხვმა 57 ათასს მიაღწია და ეს ციფრი კვლავ იზრდება, აფხაზური სეპარატიზმის ლიდერებს შეუძლიათ კმაყოფილი იყვნენ: ომისა და ძალადობის ინსტრუმენტებით, რა თქმა უნდა, დროებით შეიცვალა აფხაზეთის დემოგრაფიული სურათი. მაგრამ მე მათ ვთავაზობ სერიოზულად ჩაუფიქრდნენ შემდეგს: ამ ომში მარტო ქართველები როდი იღუპებიან, ობლდებიან და განიდევნებიან. როცა ქართველი მოსახლეობის ეთნოციდსა და ეთნიკურ წმენდას ახორციელებს, აფხაზთა ომის პარტია თავისი ხალხის ფიზიკურ არსებობასაც უქმნის საფრთხეს".

შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე შეეხო აფხაზური სეპარატიზმის უფრო „უახლეს ისტორიას", კერძოდ კი ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო ინსტანციებში გაგზავნილ წერილობით მიმართვებს. განსაკუთრებული აგრესიული რადიკალიზმით გამოირჩეოდა ცნობილი „აფხაზური წერილი", რომელმაც ფაქტობრივად დასაბამი მისცა 1989 წლის მთელ რიგ ტრაგიკულ მოვლენებს. ორატორმა ერთგვარი ფსიქოლოგიური პარალელი გაავლო იმ წერილების განწყობილებებსა და დღევანდელ ტრაგედიას შორის, რომლის სულისჩამდგმელებად აფხაზური სეპარატიზმის თანამედროვე პირმშოები გვევლინებიან იმპერიული ძალების ხელში.

ბატონ ე. შევარდნაძის გამოსვლაში პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მიეცა აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ უკანასკნელ პერიოდში მიღებულ აქტებს. ყველა კონსტიტუციური აქტის თანახმად, საქართველოს ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. ამავე აქტების შესაბამისად აფხაზეთი შედის საქართველოს შემადგენლობაში. საქართველოს კანონები სავალდებულოა და თანაბარი ძალა აქვს ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე. საქართველოს რესპუბლიკის კანონებთან ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი. 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის ინიციატორები ამტკიცებენ: აღადგინეს რა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, საქართველოს ხელისუფლებმა თითქოსდა არარსებულად გამოაცხადეს აფხაზეთის ავტონომია, რამეთუ 1921 წლის კონსტიტუციაში იგი საერთოდ ნახსენები არ არის. სინამდვილეში ეს ასე არ არის. 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციას, რომელმაც აღადგინა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, თავის პირველსავე მუხლში სამოქმედოდ შემოაქვს ეს ძირითადი კანონი — დღევანდელი რეალობების, უცვლელად არსებული საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსის გათვალისწინებით.

ამ ბოლო წლების მანძილზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას არაერთგზის უცდია ცალმხრივად შეეცვალა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. ყველა ეს აქტი არ გამოხატავდა აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის ნებას, არღვევდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, ეწინააღმდეგებოდა მოქმედი კონსტიტუციის დებულებებს და მიღებული იყო სესიის ჩატარების წესის დარღვევით, მთელი დეპუტატთა კორპუსის აზრის გაუთვალისწინებლად.

მთლიანად უგულებელყოფს თანამედროვე პარლამენტარიზმის ნორმებსა და პრაქტიკას 1991 წლის 9 ივლისის საარჩევნო კანონი. ეს სხვა არა არის რა, თუ არა აპარტეიდი დე-იურე, თუ არა ის, რომ უმცირესობამ მიიღოს შესაძლებლობა უკარნახოს ნება უმრავლესობას, რაც იმთავითვე პროვოკაციულად იწვევს ეროვნებათა შეტაკების საფრთხეს.

ეროვნული ნიშნით ადამიანის პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვამ აფხაზეთში მცხოვრები ქართველები, რომლებიც მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენენ, აგრეთვე რუსები, სომხები, ბერძნები აშკარად არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში ჩააყენა და მიიღო რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა ეთნოდიქტატურის პრაქტიკულად დამკვიდრებით. ეს კი პირდაპირ დაგმობილია 1966 წლის 7 მარტის საერთაშორისო კონვენციით.

მონოეთნიკური ნიშნით იქმნებოდა აფხაზეთის შინაგანი ჯარის ქვეგანაყოფები. აპარტეიდულ-დისკრიმინაციული პრინციპი დაედო აგრეთვე საფუძვლად საკადრო დანიშვნებს.

ასე მეთოდურად და გეგმაზომიერად, სამართლისა და მორალის ნორმების გვერდის ავლით ახორციელებდა აფხაზეთის ხელმძღვანელთა ერთი ჯგუფი ღონისძიებებს, რომელთა საბოლოო მიზანი იყო აფეთქება და შეტაკება. ახლა გვიხდება ყოველივე იმის აღნიშვნა, რომ ეს ყველაფერი იყო ძალების თავისებური მოსინჯვა, მომზადება უკიდურესად ფართო მასშტაბის შეიარაღებული კონფლიქტისათვის. ამას მოწმობს ჩვენს განკარგულებაში არსებული დოკუმენტები.

არსებული ცნობებით აგრეთვე ცხადი ხდება, რომ უკანასკნელი ორ წლინახევრის განმავლობაში პროპაგანდისტული კამპანიის დაფინანსებისა და იარაღის შესაძენად აფხაზეთში აგროვებდნენ ფულად სახსრებს, ავტონომიურ რესპუბლიკასა და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ პუნქტში სპეციალური პროგრამით წარმოებდა ბოევიკების მომზადება.

მრავალ მითს შორის, რომლებითაც შეიმოსა კონფლიქტი აფხაზეთში, მთავარი შემდეგი გახლავთ: დიდი და ძლიერი თავს დაესხა პატარასა და სუსტს. ბუნებრივია, სიმპათიები პატარასა და სუსტს ეკუთვნის. თავდასხმის თაობაზე, ვფიქრობ ყველაფერი ცხადია. ძალისა და სისუსტის კატეგორიებში კი უნდა გავერკვეთ.

სეპარატიზმის ბელადთა ჩანაფიქრით, მათს ინტერესებს შეესაბამებოდა ორიენტაცია წარმავალი იმპერიის იმ ყველაზე რეაქციულ ძალებზე, რომელთაც საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტის მეთაურები განასახიერებდნენ, და არა მხოლოდ ისინი.

ორიენტაცია და დასაყრდენი რუსეთის უკიდურესი მემარჯვენე ყაიდის წრეებზე გამოვლინდა და ვლინდება რუსეთის პარლამენტის იმ ყველაზე ოდიოზურ წევრებთან ურთიერთქმედებით, რომელთა ინსპირირებით მიიღო რუსეთის უზენაესმა საბჭომ 25 სექტემბერს დოკუმენტები „აფხაზეთის შესახებ". სწორედ ამ არსებითად რუსეთის პრეზიდენტისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ მიმართულმა დოკუმენტებმა წააქეზეს არძინბა ჩაეშალა მოსკოვის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის დებულებათა შესრულება.

თავის დროზე რუსეთის უზენაესმა საბჭომ არავითარი რეაგირება არ მოახდინა კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის უკანონო მოქმედებაზე, რომლებიც რეგიონში რუსეთის ინ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ნომერში

◎ მამულის დაცვა უპირველეს ყოვლისა. 2

◎ მკითხველები მსჯელობენ ჩვენი ცხოვრების ავ-კარგზე. 3

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე

18 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა გააგრძელა თავისი მუშაობა. დილის სხდომაზე, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, პარლამენტმა განიხილა ორი საკითხი. დაამტკიცეს საქართველოს პარლამენტის დროებითი რეგლამენტი და საქართველოს პარლამენტის წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულება.

შესვენების შემდეგ, საღამოს 5 საათზე, ამჯერად უკვე ღია სხდომაზე, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ პარლამენტის განსახილველად წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ. პარლამენტარები კანონპროექტის განხილვას შეუდგნენ. სხდომამ გვიანობამდე გასტანა.

ულოცავენ პარლამენტის თავმჯდომარეს

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ,

მაქვს პატივი, გადმოგცეთ გერმანიის ბუნდესტაგის პრეზიდენტის რიტა ზიუსმუტის მიმართვა.

„ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, გერმანიის ბუნდესტაგის სახელით და პირადად გულითადად გილოცავთ არჩევნებში გამარჯვებას.

ამომრჩეველთა ხმების რაოდენობამ გვიჩვენა, რომ ქართველი ხალხი ენდობა ქვეყნის თანამიმდევრული დემოკრატიზაციის თქვენეულ პოლიტიკას. გერმანიის ბუნდესტაგი და საზოგადოება კვლავაც დიდი ყურადღებით მოეკიდება სამართლებრივი და მშვიდობიანი საზოგადოების მშენებლობას თქვენს ქვეყანაში.

გისურვებთ წარმატებულ საქმიანობას თქვენს მაღალ და პასუხსაგებ პოსტზე.

მეგობრული სალმით თქვენი
რიტა ზიუსმუტი".

თქვენო აღმატებულებავ, ვსარგებლობ შემთხვევით, რათა გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა თქვენდამი.

ფრედ-ჰანსელ ნილსენი,
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი.

პატივცემულო ბ-ნო შევარდნაძე,

ჩემი და ევროპარლამენტის დელეგაციის სახელით, რომელიც დაკვირვებას აწარმოებდა მიმდინარე წლის 11 ოქტომბრის არჩევნების ჩატარებისას, მსურს გამოვთქვა ჩვენი ულრმესი მადლობა იმ კეთილგანწყობისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რომლითაც ჩვენ ვიყავით გარემოსილი საქართველოში ჩვენი ყოფნის პერიოდში. განსაკუთრებით მადლიერი ვარ, რომ მქონდა შესაძლებლობა კვლავ შეგხვედროდით თქვენ არჩევნების შემდეგ ფართო მასშტაბის და ფრიად საინტერესო აზრთა გაცვლის მიზნით.

ჩვენი მისია უაღრესად სასარგებლო და ინფორმატიული აღმოჩნდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი თქვენი ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების სწორად გაგებას.

იმედი მაქვს, რომ ჩვენს ვიზიტს მოჰყვება ჩვენს პარლამენტებს შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და ევროპის თანამეგობრობის მხარდაჭერის გაძლიერება საქართველოს მიმართ.

ღრმა პატივისცემით
ეისო პ. უოლტიერი.

ე. შევარდნაძემ მიიღო ესპანელი ბიზნესმენები

17 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა მიიღო ესპანელ ბიზნესმენთა ჯგუფი ესპანეთის ბრაზილიელი კონსულის, ფირმა „პერესტროიკის" პრეზიდენტის ხოსე პერეირა კინტოსის მეთაურობით.

ესპანელი ბიზნესმენები რამდენიმე დღეა საქართველოში იმყოფებიან და სოფლის მეურნეობის და კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სხვადასხვა დარგში თავიანთი პროექტების განხორციელების კონკრეტულ წინადადებებს გვთავაზობენ.

სტუმრებმა სახელმწიფოს მეთაურს გააცნეს საქართველოში ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილებები. გაიმართა საუბარი მათი პროექტების რაც შეიძლება სწრაფად დამუშავებისა და განხორციელების საკითხებზე.

საუბარს ესწრებოდა თბილისის მერი ოთარ ლითანიშვილი.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

საჭიროა ყაირათიანად მივუდგეთ

რა თქმა უნდა, ურიგო საქმე არ არის, რომ გერგილიანმა სამეურნეო მუშაკებმა შეძლეს საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოეძებნათ მისი მოსახლეობისთვის საარსებო მნიშვნელობის სურსათი და მორიგებულიყვნენ რესპუბლიკაში შემოტანაზე. მაგალითად, ყაზახეთიდან გამოგზავნილია ათი ათასი ტონა კარტოფილი, უზბეკეთიდან უკვე მივიღეთ 60 ვაგონზე მეტი ხახვი. მაგრამ, განა დასაშვებია, ჩვენი რამდენიმე ათასი ტონა კომბოსტოს დაკარგვა იმის გამო, რომ ჭიანურდება მისი გამოტანა ადიგენის და ახალქალაქის რაიონებიდან? რა თქმა უნდა, არა, დაასკვნეს მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკური კომისიის მორიგი სხდომის მონაწილეებმა. და ამიტომ, მოსთხოვეს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ კამპანიის ორგანიზებულად დასრულებისათვის.

სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის **ომარ კეშელაშვილის** თავმჯდომარეობით, აღინიშნა, რომ ამჟამად რესპუბლიკაში ხორბლის რეზერვი დაახლოებით 25 ათას ტონას შეადგენს. არის აგრეთვე რამდენიმე ათასი ტონა ფქვილი. მაგრამ, კვლავინდებურად საჭირბოროტოა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში ჩამოსული გემების დროულად განტვირთვის, მიღებული ტვირთის გაგზავნისა და მათი დაცვა-შენახვის პრობლემა. ეს მით უფრო აქტუალურია დღეს, როცა 10 დეკემბრამდე ვვარაუდობთ კიდევ ორმოცი ათასი ტონა მარცვლეულის მიღებას. ამავე დროს, თავდასხმის და გაძარცვის საფრთხის გამო, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სარკინიგზო ბრიგადები უარს ამბობენ ჩამოიტანონ სურსათი საქართველოში.

მოულოდნელად წამოიჭრა მეორე პრობლემაც: იყო ჩვენი „ტურისტების" მიერ თურქეთში ფქვილის გატანის ცალკეული ცდები. თბილისის მერიის წარმომადგენლებმა წამოჭრეს საკითხი საღამოს ათ საათამდე გაგრძელდეს პურის მაღაზიებში ინკასაცია. ამჟამად, ეს ოპერაცია ზოგიერთ მაღაზიაში დღის ოთხი საათისთვის სრულდება, რაც დამატებით სიძნელეებს ქმნის პურპროდუქტებით ვაჭრობის ორგანიზაციის საქმეში. სამწუხაროდ, კვლავ გვიწევს იმის თქმა, თუ რამდენ საჭიროა მკაცრი კონტროლი დავუწესოთ მაღაზიებში პურის შეტანისთვის სპეცავტოტრანსპორტის საწვავით მომარაგებას, როგორც სხდომაზე აღინიშნა, ამ საკითხის გადაწყვეტა გადადებას ვერ ითმენს.

აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის გამო

(დასასრული).

ტერესებს უშუალო საფრთხეს უქმნიან. მან თვალი დახუჭა ამ დანაშაულებრივი გაერთიანების დეკლარირებულ მიზნებზე, რომელმაც ჩვენი დედაქალაქი უბედურების ზონად გამოაცხადა და მოუწოდა ტერორისაკენ ზონაში.

რუსეთის პარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტები — ეს არის მანდატი, რომელიც მიეცა სეპარატიზმს და აქეზებს ექსტრემიზმს და უნდა ითქვას, არა მარტო აფხაზეთში.

მე შორს ვარ იმის მტკიცებისაგან, აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, რომ აფხაზეთში საქართველოსთან რუსეთი ომობს, მაგრამ უფლება მაქვს მთელი გარკვეულობით ვთქვა: აფხაზეთში საქართველოსთან ომს ეწევა იმპერიული რევანშის წითელ-მიხაკისფერი არმია, რომელიც ახლა უკვე რუსეთსაც ემუქრება კანონიერი ხელისუფლების გადაყენებით, ტოტალიტარული სისტემის რესტავრაციით.

ჩვენთან ომს ეწევა რეაქცია, ჩვენთან ომს ეწევა ფუნდამენტალიზმი სხვადასხვა ჯურისა, რომელსაც აგრეთვე სწყურია რევანში. და ბრძოლის ლოგიკით ეს ორი, დღემდე თითქოსდა შეუთავსებელი უკიდურესობა, ერთმანეთს უკავშირდება საქართველოს წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში.

ბევრი ჩემი ჩრდილოკავკასიელი მეგობრის მსგავსად, მე არ მიმაჩნია კავკასიონის ქედი დაუძლეველ ზღუდედ თანამშრომლობისა და კონსოლიდაციისათვის, მაგრამ მინდა შევახსენო კავკასიური სახლის დამპროექტებლებს, რომ ის ვერ აშენდება დანგრეული ქერებისა და ბინების ქვებით. სეპარატიზმის ფხვიერ საძირკველზე გაერთიანება შეუძლებელია. ამიტომაც, რაკი მთიელთა რესპუბლიკის თეორეტიკოსები იმოწმებენ ევროპის გაერთიანების მაგალითს, ვუპასუხებ მათ მისი ერთ-ერთი მთავარი მშენებლის გაფრთხილებით, რომელმაც სეპარატიზმში განჭვრიტა თავისებური ევროპული ტრაიბალიზმი, ევროპას მინისახელმწიფოთა კონგლომერატად გადაქცევას რომ უქადის.

უნიკალური ეთნიკური ისტორიის, მძიმე პოლიტიკური და ისტორიული „ბარგის“, კლანური და ტომობრივი კავშირურთიერთობის ძლიერი კომპონენტის მქონე კავკასიას ეს უფრო მეტად ემუქრება. ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტმაც ცხადყო კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პოლიტიკური კრახი.

ვფიქრობ, კმარა მაგალითები, ფაქტები და კომენტარები იმის თაობაზე, თუ როგორ დაესხა „დიდი და ძლიერი“ „პატარასა და სუსტს“. აფხაზეთში ჩვენ — და არა მარტო ჩვენ — საქმე გვაქვს დიდ შავბნელ ძალასთან, რომელიც ცდილობს გადააქციოს საქართველო და კავკასია მსოფლიოს გადანაწილების ახალი ხერხებისა და საშუალებების სელექციის საცდელ ასპარეზად.

როცა ვსვამთ კითხვას, რა ვაკეთოთ შექმნილ სიტუაციაში, თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა გავიცნობიეროთ: ამოიწურა თუ არა პოლიტიკის ძალა მოლაპარაკების მაგიდასთან კონფლიქტის გადაწყვეტის ცდებში? შეუძლია თუ არა ძალის პოლიტიკას წარმატებით დაგვირგვინდეს? ჩემი პასუხია: არა, არ ამოუწურავს და თუ ძალის პოლიტიკის სამხედრო წარმატება შესაძლებელია, მაშინ ნებისმიერ პირობებსა და გარემოებებში იგი მარცხის ადეკვატური იქნება. უწინარეს ყოვლისა, აფხაზი ხალხისათვის, რომლის მცირე საარსებო და მატერიალური რესურსები კატასტროფულად ჩანაგდება ამ ომში.

ჩვენთვის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საფუძვლად კვლავ 3 სექტემბრის მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის დებულება რჩება. ჩვენი მოთხოვნა, გაყვანილი იქნენ მონაწილენი იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ 2 ოქტომბრამდე, ნიშნავს:

ტერიტორიის მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის დარღვეული პრინციპის აღდგენას; აფხაზეთიდან ათასობით ჩვენი მოქალაქის დეპორტაციის, მათი საკუთრებისა და ქონების მოსპობისა და მიტაცების, საქართველოს ტერიტორიის კოლონიზაციის მცდელობის დაგმობას.

ყველა ამ პრობლემას, აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, მოვალენი ვართ უფრო ფართო პოზიციებიდან შევხედოთ. და მათ მოსაგვარებლად, უპირველეს ყოვლისა, უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ურთიერთობებს ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებთან. სულ ახლახან დავდეთ ხელშეკრულება თურქეთთან, რომელმაც თვისობრივად ახალი ფურცელი ჩაწერა საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიაში. ასეთი ხელშეკრულება რუსეთთან ჯერ არა გვაქვს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ გვექნება. რუსეთთან ურთიერთობა ჩვენთვის კვლავ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. რუსეთისათვის ზურგის შექცევის ორიენტაცია საქართველოს მიაყენებს უდიდესი მასშტაბის ზიანს. ის, რასაც ახლა განვიცდით, რესპუბლიკის წინანდელი ხელმძღვანელობის მიერ მოწყობილი თვითბლოკადის შედეგია.

როცა ვლაპარაკობთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, კარგად უნდა გავაანალიზოთ წარსულის გაკვეთილები, თვალი გავუსწოროთ აწმყოს და შეუცდომლად განვჭვრიტოთ მომავალი.

წარსულის გაკვეთილები დადებითიც და უარყოფითიც, თანამედროვე ცხოვრება, უფრო სწორად, ორი სახელმწიფოს თანაცხოვრების დღევანდელი დონე, მომავლის ინტერესების რეალისტური ხედვა ჩვენ გვაძლევს საფუძველს ვილაპარაკოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თვისობრივად ახალ ეტაპზე, ახალ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე ორ ქვეყანას შორის, რომელიც დაემყარება სრულ თანასწორობას, კეთილმეზობლობას, ფართო მასშტაბის თანამშრომლობას ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ამასთან. მე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, რომ რუსეთ-საქართველოს კეთილი დამოკიდებულება კი არ ეწინააღმდეგება, არამედ გულისხმობს საუკეთესო და განსაკუთრებით კეთილმეზობლურ ურთიერთობას თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, უკრაინასთან. ასეთ განსაკუთრებულ ურთიერთობას ვუყურით საფუძველს ევროპასთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მე მწამს, რომ დიდი მომავალი აქვს საქართველო-ირანის თანამშრომლობას, რომლის პრინციპების შესახებაც მოვილაპარაკებთ თეირანში ამ უახლოეს დროში ჩემი ვიზიტის დროს. ჩვენ ასეთივე პოზიციებიდან ვუდგებით მეგობრული ურთიერთობის მშენებლობას ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანასთან, მთელ მსოფლიოსთან.

თუ იქნება კეთილი ნება, ჩვენ ვიქნებით საჭირო და სანდო მეზობლები ჩეჩნეთისათვის, ოსეთისათვის, დაღესტნისათვის, ყაბარდო-ბალყარეთისათვის, ჩერქეზებისა და ადიღეებისათვის, ყველა ხალხისათვის, ვისთვისაც ძვირფასია კავკასიური მიწა და კავკასიური ცა. გვინდა ჩვენი კავშირები ამ ხალხებთან ისეთივე შეუბღალავი და წმინდა იყოს, როგორც ყაზბეგისა და იალბუზის თოვლი.

შემდეგ ბატონი ე. შევარდნაძე შეეხო საკითხს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფო-სამართლებრივი სტატუსის საკითხს. მან აღნიშნა, რომ რადიკალურად განწყობილი აფხაზი მოღვაწეები მოითხოვენ აფხაზეთის ფედერაციულ საწყისებზე საქართველოსთან დაკავშირებას იმ დროს, როცა საქართველოს ხელისუფლება მზად არის განიხილოს არსებული ავტონომიური სახელმწიფოს სამართლებრივი სტატუსის დაზუსტების საკითხი. პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ამ საკითხში თანხმობის მიღწევის დიდ მნიშვნელობას მიმდინარე კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და, საბოლოო ანგარიშით, საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის თვალსაზრისით. ავტონომიისა და ფედერაციის, როგორც სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმების, ანალიზის შედეგად ბატონი ე. შევარდნაძე მივიდა დასკვნამდე, რომ საკითხი საქართველოს უნიტარული თუ ფედერაციული მოწყობის შესახებ პირდაპირ კავშირში არაა აფხაზეთის სახელმწიფო-სამართლებრივ სტატუსის განსაზღვრასთან. ხოლო რაც შეეხება აფხაზი ხალხის თვითმოწყობის ფორმას საქართველოს სახელმწიფოში — სახელმწიფოებრივ ავტონომიას, — ის საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებისა და მსოფლიო სახელმწიფო-სამართლებრივი პრაქტიკის თვალსაზრისით უმაღლეს, მაქსიმალურ სტანდარტებს აკმაყოფილებს. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა კიდევ ერთხელ მოუწოდა აფხაზ ხელისუფალთ, თუ მართლაც აფხაზი ხალხის ბედიღბალზე შესტკივათ გული, დაუყოვნებლივ მოუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და განაახლონ პოლიტიკური დიალოგი.

გამომსვლელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ პერსპექტივისათვის გათვალისწინებულ პოლიტიკურ ნაბიჯებთან ერთად საჭიროა ოპერატიული ზომების მიღება, ფართო ორგანიზაციული, ეკონომიკური, სოციალური ღონისძიებების მთელი კომპლექსის ამოქმედება. უნდა აღდგეს მოძრაობა რკინიგზასა და საავტომობილო ტრასაზე სოხუმიდან სამტრედიამდე; სოხუმსა და ოჩამჩირეში უნდა განახლდეს ელექტროენერგიის, გაზის, წყლის, სურსათის, მედიკამენტების მიწოდება. ამუშავდეს სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ყველა ობიექტი. უნდა შეიქმნას ყველა პირობა დამნაშავეების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის; ყველგან, განსაკუთრებით ქალაქ სოხუმში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მართლწესრიგი; ზრუნვა ლტოლვილებისათვის უნდა იქცეს საერთო-ეროვნულ და საერთო-სახელმწიფო საქმედ, — დროა, შესაბამისმა სამთავრობო სამსახურებმა ამ პრობლემას შეაპყრონ გაეროს ლტოლვილთა საქმეების უზენაესი კომისრის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება მათთვის საჭირო დახმარების აღმოჩენის მიზნით; უნდა გაუმჯობესდეს დაჭრილთა მკურნალობისა და მოვლის პირობები; და, რა თქმა უნდა, საერთოეროვნული ზრუნვა არ უნდა მოაკლდეს დაღუპულ მეომართა ოჯახებს.

ყველა ჩამოთვლილი პრობლემის გადაჭრა, — თქვა ბატონმა ე. შევარდნაძემ, — დავალებული აქვს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, შექმნილია სპეციალური სამთავრობო კომისიები, მაგრამ, სამწუხაროდ თითოეული მათგანი ერთნაირი წარმატებით ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. ყველა ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირი ანგარიშით უნდა წარდგეს პარლამენტის წინაშე, — აღნიშნა მან.

თავისი გამოსვლა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ვფიქრობ, ძირითადად საერთო აზრისა ვართ: აფხაზეთი საქართველოა. ასევე სწორია ისიც, რომ საქართველო აფხაზეთია, და არ არის და არც იქნება საქართველო უაფხაზეთოდ. ასეთია ის მიჯნები, რომლებითაც შეგვიძლია მოვნიშნოთ ჩვენი დიალოგის სივრცე“.

გამოსვლის დასასრულს ბატონმა ე. შევარდნაძემ უპასუხა მრავალ შეკითხვას, რის შემდეგაც დეპუტატები შეუდგნენ კამათს საკითხის გამო.

აქტუალური ინტერვიუ

მამულის დაცვა პატრიოტული ღირსებაა

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებას „სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების, მაროდიორების, დეზერტირობისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით, კომენტარს უკეთებს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე, საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი **არჩევან ლომიძე.**

— ეს არის უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც ჰაერივით გვესაჭიროება, — განაცხადა ბატონმა არჩევანმა. — მასში სამართლიანად არის მითითებული, რომ ქვეყანაში შექმნილია მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური, კრიმინოგენული ვითარება, მტრები ხელყოფენ მის ტერიტორიულ მთლიანობას, მოიშალა სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინა, დაქვეითდა ადამიანების პირადი პასუხისმგებლობა, იმძლავრეს დამნაშავე ელემენტებმა, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტება უშლის შეიარაღებული ძალების ფორმირებას, რკინისებური სამხედრო დისციპლინის დანერგვას, ართულებს წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევას, ქვეყნის ამ ძნელბედობის ჟამს ბევრი ჭაბუკი თავს არიდებს სავალდებულო სამხედრო სამსახურს, დეზერტირობს, ლაჩრულად ტოვებს ბრძოლის ველს, ღალატობს სამშობლოსა და ამხანაგებს, ნარკომანობს, სჩადის სხვა უკანონო ქმედობას, რაც ლახავს ქვეყნის მამაც დამცველთა სახელსა და ღირსებას.

მტკიცედ უნდა დავიცვათ კანონი ყველა ჯურის დამნაშავეთა წინააღმდეგ, მივაღწიოთ მის უზენაესობას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მკაცრ პასუხისმგებლობას აკისრებს მათ, ვინც თავს არიდებს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გაწვევას ან ალტერნატიულ შრომით სამსახურს. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიმდინარე წლის 8 აგვისტოს დეკრეტით სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლი და სამხედრო დანაშაულის სისხლის სამართლის კოდექსის 255-დან 282-მდე ჩათვლით მუხლები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, სადაც ეს ნათლად არის განსაზღვრული. ამ კანონების ცოდნა საქართველოს ყველა მოქალაქის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის საჭირო და აუცილებელია. ამიტომაც განვიზრახეთ პრესის საშუალებით უფრო დაწვრილებით განვმარტოთ ისინი.

შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან თავის არიდებისათვის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთიდან სამ წლამდე ვადით. ეს კანონი მთელი ძალით ამოქმედდება და იკანონებს, რისხვად დაატყდება მათ, ვინც შეეცდება დაარღვიოს იგი. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ინტერესები, სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობის პრინციპები.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 8 ივლისის დებულებაში „საქართველოს რესპუბლიკაში სამხედრო მოვალეობის შესახებ“ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ვალდებულია პირადად გაიაროს საყოველთაო სამხედრო სამსახური. ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის მოქალაქე ყველა მამაკაცი ვალდებულია დადგენილი ვადით გაიაროს სავალდებულო სამსახური, პირნათლად მოიხადოს თავისი პატრიოტული მამულიშვილური ვალი. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრს უფლება აქვს, სამხედრო სამსახურში მიიღოს ქალებიც, რომელთაც აქვთ სამედიცინო და სპეციალური ტექნიკური მომზადება, გაიწვიოს ისინი სასწავლო შეკრებაზე.

ქვეყნის შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო, ჰაერსაწინააღმდეგო დაცვისა და სასაზღვრო ჯარებისაგან. ახალგაზრდების გაწვევა ხდება რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის სათანადო კანონმდებლობის შესაბამისად. გასაწვევ უბნებში მოქალაქეთა გამოცხადების ვადებს აწესებენ ქალაქებისა და რაიონების სამხედრო განყოფილებათა უფროსები და მტკიცედ იცავენ მას. ამავე დებულებით გათვალისწინებულია წესი იმის შესახებ, რომ შეიძლება მოხდეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის გადავადება.

განსახილველი დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს ქვეყნის შეიარაღებული ძალების ნორმალური შევსება — დაკომპლექტება. ობიექტურად, დანაშაული გამოიხატება სავალდებულო სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისაგან არასაპატიო მიზეზით დაწესებულ ვადაში გამოცხადების თავის არიდებაში. საპატიო მიზეზებად ჩაითვლება: გასაწვევი პირის ავადმყოფობა, რაც საექიმო მოწმობის თანახმად აბრკოლებს მის გამოცხადებას, სტიქიური ხასიათის დაბრკოლება, რაც დადასტურებული უნდა იყოს სოფლის საკრებულოს ან პოლიციის ორგანოს მიერ მიცემული ცნობით საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და ექვემდებარება გაწვევას.

სუბიექტურად ჩადენილი დანაშაული გამოიხატება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით — წვევამდელმა თავი აარიდოს საყოველთაო სამხედრო სამსახურში გაწვევას. მოტივს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. სინდისისა და რწმენის თავისუფლების მოტივით მოქალაქეთა მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში უარის თქმის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 ივნისის კანონის თანახმად ისინი შეიძლება გაიწვიონ არასამხედრო ალტერნატიულ სამსახურში, რომლის ვადაა 24 თვე. დანარჩენ შემთხვევებში ქვეყნის შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ჯარებისა და ყველა კატეგორიის წვევამდელთათვის სამსახურის ვადა 18 თვით განისაზღვრება.

დადგენილების გამოქვეყნებისთანავე რესპუბლიკის პროკურატურამ, მთავარმა სამხედრო პროკურატურამ სპეციალური საკონსულტაციო წერილით მიმართა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, ყველა ქალაქისა და რაიონის პროკურორებს და მოთხოვა კანონის შესაბამისად გააძლიერონ მუშაობა მათი მოქმედების ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე, განახორციელონ აუცილებელი საპროკურორო ღონისძიებანი მათ მიერ შინაგანი და სადისციპლინო წესდებების მოთხოვნათა განუხრელი შესრულებისათვის, მიიღონ უმკაცრესი ზომები საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდისაგან თავის ამრიდებელ პირთა, დეზერტირების, მაროდიორების, მოძალადეთა, სამხედრო ქონების მფლანგველ-განმქარვავთა, მოწინააღმდეგისათვის საომარ საშუალებათა ჩაბარებისა და სხვა შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად. ხალხი ვეღარ შეურიგდება ქვეყანაში გამეფებულ უწესრიგობასა და ქაოსს, კანონმა უნდა იკანონოს, დამნაშავეთა ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს.

ქვეყნის პროკურატურა და სხვა სამართალდამცავი ორგანოები მთელ თავიანთ ძალისხმევას წარმართავენ ისე, რომ ყოველნაირად შევუწყოთ ხელი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს ამ უმნიშვნელოვანესი დადგენილების განუხრელ შესრულებას, რომელშიც ხალხის გულისთქმა და მისწრაფებაა გამოხატული. საქართველოში უნდა შეიქმნას ისეთი ერთიანი შეიარაღებული ძალები, რომელიც შეეფერება ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ძირძველ მხედრულ დიდებას, რკინისებრი დისციპლინით დაიცავს ქვეყნის მთლიანობას, ქართული მიწის ყოველ გოჯს, უნდა აღვადგინოთ საზოგადოებრივი წესრიგი და სიმშვიდე.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა

შავიზღვისპირა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელიც 24-25 ივნისს გაიმართა სტამბოლში, მიღებულია ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტები, კერძოდ, „ბოსფორის განცხადება“ და „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის დეკლარაცია“. ამ კოლექტიურ შეთანხმებებში, რომლებსაც ხელი მოაწერეს ალბანეთმა, სომხეთმა, აზერბაიჯანმა, ბულგარეთმა, საქართველომ, საბერძნეთმა, მოლდოვეთმა, რუმინეთმა, რუსეთმა, თურქეთმა და უკრაინამ, ჩამოყალიბებულია ამ სახელმწიფოთა მრავალმხრივი თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები. იმის გამო, რომ ალიანსში შემავალ 11 ქვეყანას შორის შესათანხმებელი იყო უკვე პრაქტიკულად განსახორციელებელი მრავალი საკითხი, მიღებულია თანამშრომლობის ყველა მიმართულებით მონაწილე ქვეყნების ექსპერტთა ჯგუფების შექმნის გადაწყვეტილება.

გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ახალი რეგიონული ბაზრის შესაქმნელად

სტამბოლის შეთანხმებებიდან გამომდინარე, თურქეთმა წლევანდელი წლის ბოლომდე რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეობა ითავა. ამ მიზნით მის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის სამდივნო, რომელიც ფაქტობრივად კოორდინაციას უწევს მუშაობის მთელ სპექტრს. დადგინდა სამუშაო ჯგუფების შეხვედრათა გრაფიკი. თითოეულმა სახელმწიფომ შეადგინა ექსპერტთა პერსონალური შემადგენლობა. მათ ჯგუფებში შევიდნენ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მეწარმეები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, და, როგორც წესი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკები.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაითვალისწინა შავიზღვისპირა ქვეყნების პრაქტიკა, საკითხებისადმი მათი მიდგომა, ისიც, რომ მონაწილე ქვეყნების კავშირები ხორციელდება ძირითადად დიპლომატიური არხებით, მხედველობაში მიიღო საქართველოს რესპუბლიკის შავი ზღვის პრობლემების სახელმწიფო კომისიის წინადადებები და შექმნა საკოორდინაციო კომისია, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი მიხეილ უკლება ხელმძღვანელობს. ეს კომისია რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან მჭიდრო კავშირით განიხილავს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს საგარეო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს, ამზადებს შესაბამის ექსპერტთა ჯგუფებს, ისმენს მათ ანგარიშებს, მუდმივი კავშირი აქვს ამ ალიანსში შემავალ ყველა ქვეყნის დიპლომატიურ უწყებებთან.

თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის ექსპერტთა ყველაზე საჭირო სხდომა წლეულს, სექტემბერში სტამბოლში შედგა და სპეციალურ საორგანიზაციო საკითხებს მიეძღვნა.

ამ შეხვედრის დღის წესრიგში შეტანილი იყო პრინციპული და საყოველთაო მნიშვნელობის საკითხები: ეკონომიკური რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების შექმნა და მათი სტრუქტურა, წესდებისა და საპროცედურო ნორმების დადგენა, მეთვალყურე ქვეყნების მიღების წესები და სტატუსი, კენჭისყრისა და ხმის მიცემის პრინციპების შემუშავება, სამუშაო და ოფიციალური ენების დაწესება და ა. შ. ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით უმაღლესი დონის მომავალი შეხვედრისათვის სათანადო რეკომენდაციებია მიღებული.

ექსპერტთა ერთ-ერთი პირველი შეხვედრა წლეულს აგვისტოში ქალაქ სტამბოლში ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ შავიზღვისპირა ქვეყნების საქმიანი წრეების წარმომადგენლები. ამ შეხვედრის შედეგად შეიქმნა შავი ზღვის თანამშრომლობის საქმიანი წრეების ასოციაცია, რომლის ძირითადი მიზანია ამ ქვეყნების ბიზნესმენებსა და მეწარმეებს შორის თანამშრომლობის მიზნით საქმიანი კავშირების დამყარება და ერთობლივი ძალისხმევა, რათა შეიქმნას შავიზღვისპირა ქვეყნების ერთიანი ბაზარი.

მომდევნო მუშა ჯგუფის შეხვედრა, რომელიც გაიმართა თურქეთის სახელმწიფო სტატისტიკის ინსტიტუტში (ქ. ანკარა), დაეთმო შავიზღვისპირა ქვეყნებს შორის სტატისტიკური მონაცემებისა და ეკონომიკური ინფორმაციის გაცვლის საკითხებს. მონაწილე ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურებში არსებული საკანონმდებლო სისტემისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის შესახებ საუბრისას ხაზი გაესვა იმის აუცილებლობას, რომ საჭიროა საერთაშორისო ეკონომიკურ და საფინანსო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირი, რათა შავი ზღვის რეგიონული ეკონომიკური ინფორმაცია რაც შეიძლება დავუახლოვოთ და მივუსადაგოთ სტატისტიკის საერთაშორისო მოთხოვნებს, მივაღწიოთ ურთიერთშესატყვისობასა და ერთიანი ეკონომიკური ენის შექმნას. მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ თითოეული ქვეყნის სტატისტიკური უწყების საქმიანობაში სტატისტიკური მეთოდებისა და განსაზღვრებების ჰარმონიზაციისა და საერთაშორისო კლასიფიკაციის გამოყენების მიზანშეწონილობაზე. ყველა მონაწილე ქვეყანა დაეთანხმა თურქეთის აზრს, რომ საჭიროა დაფუძნდეს თერთმეტივე ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური ინფორმაციის შემკრები ცენტრი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ შეხვედრის ერთ-ერთ სხდომას დაესწრო და ვრცელი სიტყვა წარმოთქვა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა სულეიმან დემირელმა. მან განავრცო აზრი ქვეყნების რეგიონალიზაციისაკენ სწრაფვის ხელის შეწყობის აუცილებლობაზე, რაც მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესების კატალიზატორის როლში ვლინდება.

ოქტომბრის შუა რიცხვებში საბანკო და საფინანსო საკითხების განსახილველად სტამბოლში ექსპერტები შეიკრიბნენ. აქ ძირითად საკითხს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ალიანსში შემავალი ქვეყნების ვაჭრობისა და განვითარების ერთობლივი ბანკის დაფუძნება წარმოადგენდა. ბანკის წესდების პროექტის დეტალურმა განხილვამ ბევრ საკითხში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კერძოდ, ვერ მოხერხდა შეთანხმება ბანკის ძირითადი ფუნქციებისა და მიზნების, საწესდებო ფონდის სტრუქტურის შექმნისა (თუ რა ვალუტაში იქნება შექმნილი საწესდებო ფონდი) და შესატანი წილების ქვეყნებზე განაწილების პრინციპების საკითხებზე. აღნიშნული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტისას, რომელიც ჯგუფის მომდევნო შეხვედრამდე გადაიდო, გათვალისწინებული იქნება თითოეული ქვეყნის მთავრობასთან სათანადო კონსულტაციებისა და დეკემბერში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მათი განხილვის შედეგები.

შემდეგი შეხვედრა კვლავ თურქეთში, კერძოდ, ანკარაში ჩატარდა. იგი ვაჭრობასა და მრეწველობაში თანამშრომლობას მიეძღვნა. დღის წესრიგი საკმაოდ დაძაბული და რთული გამოდგა. განხილულ იქნა მნიშვნელოვანი კოლექტიური ხელშეკრულებები: ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება, ინვესტიციების ურთიერთწახალისება და დაცვა, მცირე და საშუალო წარმოებების ხელის შეწყობა და დახმარება, კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა, მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების რეგულირება, ვიზების საკითხები და სხვა. დისკუსიის შემდეგ სათანადო შესწორებებითა და წინადადებებით ეს დოკუმენტები საგარეო საქმეთა მინისტრებს წარედგინება ხელის მოსაწერად.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს უმაღლესი დონის შეხვედრა, რომელიც წლეულს დეკემბერში ქ. ანტალიაში (თურქეთი) გაიმართება, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის პირველი ეტაპის დამაგვირგვინებელი გახდება. აქ განიხილავენ და მიიღებენ ყველა იმ აუცილებელ დოკუმენტებს, რომლებიც რეგიონული ეკონომიკური გაერთიანების ეფექტური ფუნქციონირებისათვის არის საჭირო. ამის შემდგომ თავმჯდომარე ქვეყნის სტატუსს სხვა ქვეყანა მიიღებს (ამჟამად იხილება ბულგარეთის წინადადება). იგი ამ თანამშრომლობას კოორდინაციას მომდევნო 6 თვის განმავლობაში გაუწევს. ანტალიის შეხვედრაზე განიხილავენ რამდენიმე ქვეყნისათვის მეთვალყურის სტატუსის მინიჭების საკითხსაც. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის სამდივნოს მიმართეს პოლონეთმა, ბელორუსმა და ტუნისმა ასეთი განცხადებით.

ექსპერტთა ჯგუფების ზემოაღნიშნულმა სხდომებმა, კამათმა და აზრთა ურთიერთგაცვლამ დაგვარწმუნა, რომ მონაწილე სახელმწიფოების ურთიერთობებში არსებობს სირთულეებისა და წინააღმდეგობების მთელი გამა. ეს ეხება სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე ყოფნას, მათს გეოპოლიტიკურ მდებარეობასა და ინტერესებს, ორმხრივ ურთიერთობებში არსებულ პრობლემებსა და დაძაბულობას, ცალკეული სახელმწიფოების ერთ ან რამდენიმე პოლიტიკურ, სამხედრო თუ ეკონომიკურ ალიანსში გაერთიანებასა და მათ ვალდებულებებს ამ ორგანიზაციათა წინაშე, სხვადასხვა იდეოლოგიური თუ რელიგიური პრინციპების მიმდევრობას და ა. შ. ამ სირთულეების მიუხედავად, შავიზღვისპირა ეკონომიკური თანამშრომლობა ნაბიჯ-ნაბიჯ ყალიბდება. აქვე უნდა ითქვას, რომ თითოეულ სახელმწიფოს კარგად აქვს გათვითცნობიერებული ასეთი ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობა, რომელიც ეკონომიკური აყვავებისა და ერთიანი ევროპის ეკონომიკაში ინტეგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. მით უფრო, რომ ფუნქციონირებადი რეგიონული ერთიანი ეკონომიკური სივრცე ამ რეგიონში შემავალი ქვეყნებისათვის პოლიტიკური სტაბილურობისა და უსაფრთხოების მყარი გარანტი იქნება.

ამრიგად, რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა ახალ სტადიაში შედის, და თუ ჩვენი სახელმწიფო უახლოეს მომავალში მიაღწევს პოლიტიკურ სტაბილურობას, დაამყარებს ელემენტარულ წესრიგს და ჩამოაყალიბებს რესპუბლიკის სათანადო საკანონმდებლო ბაზას, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან, საქართველოს ხელსაყრელი პირობები შეექმნება საბაზრო ურთიერთობებზე შედარებით ხანმოკლე პერიოდში და ნაკლები დანაკარგებით გადასასვლელად და რესპუბლიკის ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებისათვის.

დავით აფციაური,
საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ამირან კაპაძე,
საგარეო საქმეთა სამინისტროს რეგიონული ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

...მუშა მიწყივ მუშაკობდეს!

ანუ რამდენიმე განმარტება ჯილეხისა და ბრუცელოზის თაობაზე

ლეო შენგელია,
საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დოცენტი.

ისედაც გართულებული დღევანდელობა ჯილეხმა (და არა ციმბირის წყლულმა, როგორც მას ზოგიერთი უწოდებს) უფრო გაამწვავა. ადამიანები პანიკამ მოიცვა, ჯერ მეცხოველეობის პროდუქტების შეძენა უჭირს და, თუ იშოვეს, იმის შიშში არიან, არ დაავადდეთო.

ცხოველებისა და ადამიანის საერთო ამ საშიშ სენს უძველესი დროიდან იცნობს კაცობრიობა. აღმძვრელის გარემოში დიდი გამძლეობის გამო იგი თანაბრად იჩენდა თავს როგორც თბილი, ისე სუსხიანი კლიმატის ქვეყნებში. „ციმბირული“ სახელწოდებაც სწორედ აქედან წარმომდგარა. ძველ ქართულში კი იგი აგრეთვე ხუზარის და სხვა სახელწოდებითაც მოიხსენიება. საერთო დესტაბილიზაცია ხელს უწყობს დაავადების ფართო მასშტაბურობას, ისტორია იცნობს დივერსიული მიზნით მისი გავრცელების ფაქტებსაც, ამიტომ საზოგადოებას მეტი სიფრთხილე მართებს.

მადლობის მეტი რა ითქმის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის მიმართ, რომელმაც ქალბატონ ეთერ ბოცვაძისა და ბატონ სულიკო კირთაძის ინტერვიუთი ამ სენთან დაკავშირებულ, მანამდე ბურუსით მოცულ მრავალ კითხვას გასცა პასუხი (27.VII. 1992 წ.).

მაგრამ მკითხველის ყურადღება ამჯერად ზოგიერთ უზუსტობაზე

რეპლიკის მაგიერ

მინდა შევაჩერო. იმავე გაზეთის 25 ივლისის ნომერი გვამცნობდა: „7-8 თვის წინათ წყალტუბოს ზონის სოფელ ქვედა მაღლაკის ერთ-ერთ ფერმაში გაჩნდა ბრუცელოზი, დაიღუპა პირუტყვი და დაავადდა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც დღესაც მკურნალობენ. ფერმა დაშალეს, მაგრამ სენი მოსახლეობის ნაწილს მაინც გადაედო“. წერილის ავტორს სრულებითაც არ მინდა ჩრდილი მივაყენო; იქნებ სჯობდა კიდეც სიუჟეტის აგრერიგად გამწვავება, მაგრამ უპრიანია მკითხველმა იცოდეს, რომ უშუალოდ ბრუცელოზის მიზეზით ცხოველი იშვიათად იღუპება, ხოლო ავადმყოფი ადამიანი ძნელად განიკურნება. ამ დაავადების მიმართ არაკეთილსაიმედო ფერმის ნაჩქარევად დაშლა და პრივატიზაციის საბაბით პირუტყვის მოსახლეობაში გაფანტვა, რასაც ზოგან სპეციალისტთა გვერდის ავლით სჩადიან, კიდევაც უწყობს ხელს ამ დაავადების ფართოდ გავრცელებას. დაავადების სახელწოდების სხვადასხვაგვარმა ინტერპრეტაციამ, ეტყობა, სარედაქციო მინაწერზეც მოახდინა ზეგავლენა. გაზეთის იმავე ნომერში ვკითხულობთ: „ციმბირი და მისი საშინელი დაავადებები მოვიშორეთ და, ვაი რომ ჩვენივე დაუდევრობით იგი აქეთ გვესტუმრა“. დაუდევრობით რომ „გვესტუმრა“, ეს სადავო როდია, მაგრამ ამ შემთხვევაში ციმბირის დადანაშაულება უსაფუძვლოა, თორემ, როგორც იტყვიან, ტყუილის მთქმელს შემდეგ სიმართლესაც არ დაუჯერებენ. მით უმეტეს, რომ გვაქვს ტრადიციული სახელწოდება — ჯილეხი.

ამავე გაზეთის 15 აგვისტოს ნომერში, სადაც საუბარია რძისა და რძეპროდუქტებით ამ დაავადების გავრცელების საშიშროებაზე, ვკითხულობთ: „შიში უსაფუძვლოა, დაავადებულ ძროხას უშრება რძე, რაც გამორიცხავს მისგან პროდუქტების გამომუშავებას“. კი, მაგრამ, ავადმყოფი ცხოველი ხომ სიმპტომების გამოვლინებიდან 1-2 დღეში, ზოგჯერ რამდენიმე საათში კვდება და რძის გაშრობას ვერ ასწრებს.

მინდა საზოგადოებას ვაუწყო, რომ ამჟამად წარმატებითაა გადაწყვეტილი ჯილეხთან ბრძოლის პრობლემა, ოღონდ საჭიროა განუხრელად სრულდებოდეს ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები და სპეციალისტთა მითითებები.

ჯილეხის და ბრუცელოზის გარდა ცნობილია კიდევ ორასამდე ზოოანთროპონოზი, ანუ ისეთი დაავადებები, რომლებიც შეიძლება ცხოველებიდან ადამიანებზე გავრცელდეს. მათ ყველაზე უკეთ ვეტერინარი სპეციალისტები იცნობენ და პროფილაქტიკურ ღონისძიებებსაც ძირითადად ისინი ატარებენ.

მუშა მიწყივ მუშაკობდესო,— უთქვამს რვა საუკუნეზე მეტი ხნის წინ ჩვენს სულმნათ წინაპარს და ჩვენც შევისმინოთ ეს ბრძნული შეგონება. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ყველამ ჩვენი საქმე ისე ვაკეთოთ, რომ სხვისი ფუნქციები არ დავაკნინოთ.

მეცხოველეობა რენტაბელური გახდება, თუ...

კასპის რაიონის საზოგადოებრივ და ერთპიროვნულ მეურნეობებში ახლა 1200 ფური და 900-მდე მოზარდეული ითვლება. ეს ბევრად ნაკლებია შარშანდელთან შედარებით, გვითხრა სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა თამაზ ნიჟარიშვილმა. მაგრამ ამით ყველაფერი არ თქმულა, გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს, ძალზე გახშირდა მაღალპროდუქტიული ფურებისა და ჯიშიანი მწარმოებლების დაკვლის შემთხვევები.

აქ უწინარესად, განსაზღვრულია მაღალი ფასები. მაგალითად, კილოგრამი საქონლის ხორცის წარმოების თვითღირებულება 12-ჯერ და მეტად გაიზარდა. ამიტომ მეურნეობათა დიდი უმრავლესობისთვის ხორცის წარმოება ზარალიანია.

— ჩვენ, რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად, სათანადო ზომები მივიღეთ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, სახელდობრ, მეზობელ რაიონებში შევისყიდეთ გარკვეული ოდენობის საკვები და მივაწოდეთ იმ სოფლებს, სადაც არ ჰქონდათ. მაგრამ, ამ პრობლემის სრული გადაწყვეტა ვერ მოხერხდება, თუ არ მოწესრიგდა სოფლისთვის საჭირო რესურსების მიწოდების ფასები.

— მიუხედავად დაძაბული ბიუჯეტისა, — დასძინა ბოლოს სამმართველოს უფროსმა, — რესპუბლიკის მთავრობამ უნდა გამონახოს დამატებითი სახსრები, რომლებიც საჭიროა მეცხოველეობის სწრაფი განვითარებისთვის.

ოთარ ალექსიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო ფოსტიდან

მატარებელი თბილისი-ბათუმი საწყისი სადგურიდან მასზე ნახევარი საათით გვიან გამოსულ თბილის-ოზურგეთის მატარებელს სადღაც გზაში ჩამორჩა, გურიის სოფელ ნიგვზიანში ალიონის ნაცვლად შუადღისას ჩარახრახდა და სამიოდე მგზავრი დაგვტოვა. რკინიგზის სადგურის ორსართულიანი შენობის წინ, ლიანდაგის გასწვრივ შემაღლებული მოედნის შუაგულში ათ თუ თხუთმეტ ნაცნობ-უცნობს მოეყარა თავი და ხმამაღლა კამათობდნენ, ცხარობდნენ.

— აი, ხომ ხედავთ, ამ კამათის, გაუგებრობის, უხერხულობის, ტანჯვა-წვალების მიზეზი ის ოხერი აბრაა! — მითხრა ერთ-ერთმა ნაცნობმა მოსაუბრემ და ხელი გაიშვირა სადგურის შენობაზე დამაგრებული თუნუქის ფურცლისაკენ, რომელსაც არშიიანი დაღლაბნილი ქართულ-რუსული ასოებით უინტერვალოდ ეწერია: „ჭუმათიდჟუმატი“. — ის აბრა რომ ჩამოხსნა, აქ ყველაფერი ნიგვზიანისაა! ...ჰო, მართლა როგორც მახსოვს, შენ ერთხელ დააყენე ეს საკითხი!

— დიახ, სწორედ ოცი წლის წინათ, 1972 წლის 8 სექტემბერს დაიბეჭდა ჩემი პატარა ფელეტონი სათაურით „ჭუმათი ნიგვზიანში“. რედაქციამ აღძრული საკითხისადმი თავისი დამოკიდებულება ხაზგასმით გამოხატა და ფელეტონს გაუკეთა ასეთი ქვესათაური: „ძველი შეცდომა, რომელიც უნდა გამოვასწოროთ“.

— რედაქციამ გაზეთიდან ამოჭრილი ფელეტონი შესაბამის მიმართვასთან ერთად მეორე დღესვე გაუგზავნა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, რადგან ეგონა, სამმართველო ამ სამართლიან მოთხოვნას მოსკოვში თავის სამინისტროს აახლებს და შეცდომაც მალე გამოსწორდება, მაგრამ თურმე სამინისტროს სად შესწევდა საამისო ძალა. როგორც შემდეგ დავაზუსტეთ, სადგურის სახელის შეცვლისათვის აუცილებელი იყო მრავალი საფეხურის — რაიონული, რესპუბლიკური და საკავშირო ინსტანციების გავლა. და ბოლოს სადგურის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით ლანჩხუთის რაიაღმასკომმა სათანადო დოკუმენტაცია გავუგზავნე, მაგრამ მას მგონი „ზემოდან“ ურჩიეს, ზედმეტ ჩხირკედელაობას მოეშვით და საქმეც ადგილიდან აღარ დაძრულა.

— ჰო, მაგრამ ახლა ხომ სხვა დროა. მართალია, ბევრი რამ აირია, მაგრამ ბევრი რამეც სწორდება, რამდენიმე დასახლებულ პუნქტს ქართული სახელები დაუბრუნეს. ერთხელ კიდევ ვცადოთ, ეგებ ახლა მაინც გამოვასწოროთ ეს ძველი შეცდომა!

— კეთილი და პატიოსანი, აი, მეორედ ვცდი. სათხოვარიც უსაშველო როდია: რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა დაადგინოს, რომ სოფელ ნიგვზიანის ტერიტორიაზე არსებულ რკინიგზის სადგურს „ჭუმათის“ ნაცვლად ეწოდოს თავისი ნამდვილი სახელი — სადგური „ნიგვზიანი“.

კაპიტონ რუსიძე,
მწერალი.

პატივცემულო რედაქციავ! დღევანდელი გაჭირვება ყველას მოგეხსენებათ, მაგრამ უგაზეთოდ მაინც ვერ ვძლებთ. ამიტომაც დროულად გამოვიწერე გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. მაგრამ, სამწუხაროდ, გაზეთებს მაინც ვერ ვღებულობ. თუ ზოგჯერ მივიღე, ისიც კვირაში 2 ან 3 ნომერს შეგვაჭვედრებენ, ხანდახან კი კვირაში საერთოდ ვერც ერთ ნომერს ვერ ვიღებ.

როცა ფოსტის მუშაკებს ვეკითხები, რატომ ყველა ნომერს ვერ ვიღებ-მეთქი, მათ პასუხი გამზადებული აქვთ — ჩვენამდე რაც გაზეთი მოდის, ყველას გაძლევთო.

აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ გაზეთი ან თბილისიდან ბათუმამდე არ ჩამოდის ან ბათუმიდან ჩვენი ფოსტის განყოფილებამდე ვერ აღწევს. ერთი სიტყვით, ჩვენს მიერ გამოწერილი გაზეთი გზადაგზა იკარგება და, ალბათ, ვიღაც ხელს ითბობს. ეს მარტო ჩემი გასაჭირი როდია. ყველა ამ დღეშია. და თუ არ იქნება წესრიგი დამყარებული გაზეთების დროულად და უდანაკარგოდ მიღების საქმეში, იძულებული ვიქნებით შევწყვიტოთ მომავალი წლისათვის გაზეთების გამოწერა.

ი. ოტოლაძე,
პენსიონერი, შრომის ვეტერანი, ქედა.

კურორტ ქობულეთში, სანატორიუმ „საქართველოში“ საგზურით მისულს, დამსვენებელთა შორის ბევრი შესანიშნავი ადამიანი დამხვდა: მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის მოღვაწენი, მუშათა კლასის ღირსეული წარმომადგენლები. ერთი სიტყვით: საინტერესო ადამიანები.

სანატორიუმის მთავარმა ექიმმა ბატონმა რევაზ მითაგვარიამ პირველი გასაუბრების შემდეგ ჩემი მკურნალობა გამოცდილ და გულისხმიერ ექიმს ქალბატონ ლია ტუღუშს მიანდო. სულ მალე დავრწმუნდი, რომ სანატორიუმში არა მარტო მთავარი ექიმი, მისი მოადგილე მალხაზ ჭიაბრიშვილი და საექიმო პერსონალი, არამედ ყველა მუშაკი გულისხმიერია.

მიუხედავად დღევანდელი დაძაბული სიტუაციისა, სანატორიუმში დამსვენებლებისათვის ოპტიმალური პირობებია შექმნილი. მწერლის კრიტიკული თვალით დავაკვირდი და სულ მალე აღმოვაჩინე, რომ რევაზ მითაგვარიას უმთავრესი ნიშანთვისება, გულისხმიერება, შრომისმოყვარეობა და დაუდგრომლობაა. სწორედ მისი დაჟინებითი ძიების შედეგია სანატორიუმ „საქართველოს“ დაკავშირება ქობულეთის რაიონის მრავალდარგობრივ მცირე საწარმო „ნაიმესთან“, რომლის დირექტორიც ბატონი ასლან ბლადაძე გახლავთ. საწარმო თავისი კეთილშობილი ჩანაფიქრითა და შინაარსით მარტო მისი ხელმძღვანელისა და პერსონალის მუშაკების გამორჩენას და კეთილდღეობას კი არ ემსახურება (რაც ასე ხშირად ჯახუნება ჩვენს ყოველდღიურ გაუკულმართებულ ცხოვრებაში!), არამედ ქობულეთის რაიონის ეკონომიკურ აღორძინებას. საწარმოს მუშაობის ძირითადი მეთოდი ბარტერული, ანუ გაცვლითი წესია. გააქვს ჩაი, ციტრუსი, თამბაქო, ხოლო შემოაქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის დეფიციტური საქონელი. შაქარი, ბრინჯი, ერბო, კარაქი, მცენარეული ზეთი, ბურღული და რაიონისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღი.

სანატორიუმსა და საწარმოს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია უახლოეს დროში სამკურნალო მცენარეების მოშენება, რისთვისაც რაიონმა უკვე გამოყო საჭირო ფართობი. ეს ნაკვეთი საკუთარი ხარჯებითა და შეერთებული ძალებით დამუშავდება და შეიქმნება ალოესა და ფხვიერი ჩაის დიდი მარაგი, რომელიც ასე სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას... უსმენ საწარმოს ხელმძღვანელს ბატონ ასლან ბლადაძესა და სანატორიუმის თავკაცს ბატონ რევაზ მითაგვარიას და გჯერა, რომ ეს უაღრესად ეროვნული საქმის დიდი საწყისია“...

სანატორიუმში ჩემს ყოფნას დაემთხვა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და ქვეყნის თავკაცის არჩევის საპასუხისმგებლო პროცესი. ქობულეთში, როგორც მთელს აჭარაში, იგი ჩინებულად მოეწყო.

არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ აჭარის, ამ მადლიანი მიწა-წყლის კურორტებზე თითქმის უკაცრიელობაა! ნეტავ, ვის აძლევს ხელს ჭორი, თითქოსდა აჭარაში დესტაბილიზაცია და საშიში მდგომარეობა იყოს?! ალბათ, მათ, ვისაც ჩვენი ქვეყნის მშვიდობა და ბედნიერება არ სურს.

ჩვენ კი, ვინც კურორტ ქობულეთის, სანატორიუმ „საქართველოში“ ვისვენებდით, მის მესვეურთა მიმართ გულითადი მადლობის მეტი რა გვეთქმის.

ლევან მილორავა,
მწერალი.

უკანასკნელი წლების მანძილზე ძალზე გაუარესდა რესპუბლიკის რადიოქსელის მუშაობა. სოფლის რაიონებზე რაღა უნდა ვთქვათ, როცა თვით თბილისის სატრანსლაციო ქსელი გამართულად არ მუშაობს. რეპროდუქტორები ან სრულებით დადუმებულან ან ისე დაბალ ხმაზე ლაპარაკობენ, რომ ყურთან მიტანაც არ შველის.

ასეა კერძოდ ამბროლაურის რაიონის იმ მაღალმთიან სოფლებში, სადაც ხშირად მიხდება ყოფნა: ნიკორწმინდაში, ხონჭიორში, ნამანევში, შავრაში, თხმორში, ცახში და სხვაგან. დაზიანების ლიკვიდაციისათვის გამოძახებას აზრი არა აქვს. ან ცოტა ხნით გამოსწორდება ხაზი, ან ხელოსნის ვიზიტი არავითარ შედეგს არ მოიტანს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სოფლის რადიოქსელს, როგორც წესი, ელექტრომონტიორები ემსახურებიან და არა რადიოტექნიკოსები.

მოთმინებასაც საზღვარი აქვს და სოფლისა თუ ქალაქის მცხოვრებლები მასობრივად უარს აცხადებენ აბონენტობაზე. სანამდის უნდა გაგრძელდეს ასეთი ვითარება, რას ფიქრობს (თუ ფიქრობს) ამაზე რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო?!

ანგი დვალი.

რამდენიც კაცია, იმდენი აზრია

პატივცემულო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, გამოვეხმაურო თქვენს გაზეთში დასტამბულ ც. ყარუგიშვილ-ღლონტის წერილს, რომელიც ა. წ. 20 ოქტომბერს დაიბეჭდა — „ოქროს მედალოსნებო, საქართველოსათვის სწორდით“! აქ ჩამოთვლილ მედალოსნებს შორის უნდა ყოფილიყო ჩემი უდროოდ დაღუპული შვილი, როლანდ ფანჯავიძე, რომელიც ცოცხალი რომ ყოფილიყო, პირველი გამოეხმაურებოდა ამ მოწოდებას, ის იყო სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, კაცთმოყვარე, მაგრამ არ დასცალდა.

მე, მისი გაუბედურებული დედა, პირველი ჩავაბარებდი ჩემი უბედური შვილის ამ ჯილდოს, უყოყმანოდ შევწირავდი საქართველოს კეთილდღეობას, მაგრამ, საუბედუროდ, მისი სიკვდილის შემდეგ ახალი უბედურება დაატყდა თავს მის ოჯახს: ოჯახი გაქურდეს და მედალიც გარეწრებმა წაიღეს. ცისანა! შენ ჩემი მოსწავლეც იყავი, შენი მასწავლებელი ასე მოიქცეოდა — შვილის მაგიერ შეასრულებდა იმას, რისთვისაც შენ იხმობ შენს თანაკლასელებს, მაგრამ, ვაგლახ! ჩემი ცხოვრების ჩარხი უკუღმა დატრიალდა.

ირა ქემოკლიძე-ფანჯავიძე,
პერსონალური პენსიონერი.

ძველი სიბრძნეა: „ჭეშმარიტი კანონი რომ შექმნა, ერთხელ მაინც უნდა იყო უკანონობის მსხვერპლი“. აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ მიწის რეფორმის კანონმდებელთა შორის რეპრესირებული ან რეპრესირებულის მემკვიდრე ნამდვილად არ ყოფილა. არადა, რეპრესირებული ოჯახები და მათი შთამომავალნი საკმაო რაოდენობით არიან ჩვენს ქვეყანაში და მათი ინტერესების გათვალისწინება საჭიროა არა მარტო სამართლიანობის აღდგენისათვის, არამედ დღეს მიღებული კანონების მომავალში პატივისცემის გარანტიის უზრუნველყოფისთვისაც.

არა მგონია, მიწის რეფორმა მხოლოდდამხოლოდ პრაგმატისტული მოთხოვნილებით — ქვეყნის მოსახლეობის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით იყოს განპირობებული. ვფიქრობ, მასში იურიდიული საფუძველიც ძევს — იგულისხმება მიწის კერძო საკუთრების აღდგენა. ესე იგი, ვცდილობთ აღვადგინოთ ის ურთიერთობა კომუნისტური რეჟიმის მიერ უკანონოდ და უსაფუძვლოდ დარღვეულ-წართმეული), რაც არსებობდა გლეხსა და მიწას შორის — გლეხს მიწა კერძო საკუთრებაში ჰქონდა.

მე საგანგებოდ ხაზს ვუსვამ — გლეხს, რადგან კომუნისტების მოსვლამდე (დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებშიც ქართველმა თავადაზნაურობამ ნებაყოფლობით თქვა უარი მიწაზე) მსხვილი მიწათმფლობელი მემამულე საქართველოში აღარ არსებობდა. თუმცა მიწის ფლობის თვალსაზრისით დიფერენციაცია, რასაკვირველია, იყო გლეხთა შორისაც: ისინი, ვინც შრომისმოყვარენი იყვნენ, მოჯამაგირეობაში თუ (გურია-სამეგრელოს მცხოვრებთათვის) ფოთში „კურტნის მუშად“ ყოფნაში მიღებული გასამრჯელოთი მიწებს ყიდულობდნენ, მეორენი უქნარები და ამდენად უფულონი ან საერთოდ უმიწონი ანდა მცირე მიწიანები იყვნენ.

ამიტომ იმთავითვე გლეხებისათვის მიწის ჩამორთმევა და იძულებით კოლმეურნეობაში გაერთიანება უდიდესი უკანონობა იყო. მაგრამ, რადგან ეს უკანონობა საყოველთაო იყო და იგი შეეხო აბსოლუტურად ყველა გლეხს, დღევანდელი კანონმდებელი, ალბათ, ძირითადად სწორი იყო, როცა ადრინდელ მესაკუთრეებს მიწები ყველა შემთხვევაში არ დაუბრუნა. სამწუხაროდ, კანონმდებლებმა არაფერი თქვეს გლეხთა იმ კატეგორიაზე, ვინც უკანონობის მსხვერპლნი მეორედ გახდნენ. კერძოდ, 1937 წელს დაპატიმრებულ და შორეულ ციმბირში თუ ჩრდილოეთში გადასახლებულ ათეულ-ათასობით მიწაზე შეყვარებულ ქართველ გლეხზე, რომელთა უმრავლესობა უკან აღარ დაბრუნებულა.

ოცდაჩვიდმეტი წლისათვის უკვე დამთავრებული იყო ავადსახსენებელი საკოლმეურნეო მშენებლობა, გლეხებს გამოყოფილი და მიზომილი ჰქონდათ საკარმიდამო ნაკვეთები.

უკანდაბრუნებულმა რეპრესირებულებმა (ასეთებიც იყვნენ) დაიბრუნეს თავიანთი მიწები. ხოლო ვინც ვერ დაბრუნდა, მათი საკარმიდამო ნაკვეთები დროთა განმავლობაში საკოლმეურნეო საკუთრებაში გადავიდა და ახალი კანონმდებლობით ამ მიწებზე მათი მემკვიდრეების უფლებამოსილების შესახებ არაფერია ნათქვამი. ეს კი უსამართლობაა.

ვფიქრობ, საკამათო არ უნდა იყოს დებულება, რომ ისტორიის უმძიმეს ქარტეხილებში გამოვლილი ქართველი კაცი და საქართველო ქართული მიწის სიყვარულმა გადაარჩინა და თუ მშობლის მიერ კეთილსინდისიერი შრომით შეძენილი მიწის უკან დაბრუნებას მოითხოვს მისი მემკვიდრე — იმ მიწაზე დაბადებული და გაზრდილი, ვინც ენით აუწერელი ტანჯვა-შევიწროება და დამცირება გადაიტანა იმავე მშობლის უკანონოდ დაპატიმრების გამო, ეს გასაკვირია?!

ლაპარაკია არა საერთოდ ჩამორთმეულ მიწაზე, არამედ იმ საკარმიდამო ნაკვეთზე (დასავლეთში ეზოს რომ ეძახიან), რაც რეპრესირებულ გლეხს გადასახლებამდე ჰქონდა და, რაც მისი ციმბირში სიკვდილის გამო უპატრონოდ დარჩენილი, უსინდისო მეზობელმა დაიკავა, თუმცა შესანიშნავად იცოდა, რომ რეპრესირებულს ჰყავდა შვილები, რომლებიც ყოველ ზაფხულს მამაპაპისეულ სახლში ატარებდნენ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეპრესირებული კოლმეურნის შვილებს მშობლების რეაბილიტაციის შემდეგ აბსოლუტურად არავითარი კომპენსაცია არ მიუღიათ. ქალაქელებმა კი დაიბრუნეს ჩამორთმეული ბინები. თუმცა უმეტესწილად ეს ბინები მათი მშობლების მიერ არც აშენებული იყო და არც ხელფასითა და დანაზოგით შეძენილი — მშობლებმა იგი ბინების ექსპროპრიაციის შემდეგ მიიღეს.

და რა გამოდის: ქალაქელი მემკვიდრეები იბრუნებენ თავის დროზე მათი მშობლების მიერ უკანონოდ შეძენილ ქონებას, სოფლელები კი ვერ იბრუნებენ მას, რაც ყოველნაირი კანონით ეკუთვნით.

როცა ყველა ძველ მფლობელს თუ მის მემკვიდრეს ყოფილი მიწა არ დაუბრუნდა, იქნებ გასაგებიცაა, ასეთი გადაწყვეტილება დღეს უზარმაზარ ცვლილებებს გამოიწვევდა სოფლად. მაგრამ, როცა აგერ გუშინ უკანონოდ და უსინდისოდ მითვისებულ სხვის საკარმიდამოს დღეს მიმთვისებელს საკუთრებაში ვაძლევთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალ მფლობელს ხვალ მისი გაყიდვა შეეძლება, ორგზის უკანონობას ჩავდივართ.

ვიმეორებ, მხედველობაში მაქვს არა ყოველგვარი ყოფილი მიწები საერთოდ, არამედ რეპრესირებულის ყოფილი საკარმიდამო. ის, რაც მისი შვილებისათვის უსაფლაოდ გადაგებული მშობლის ერთადერთი მოსაგონარია. ის, რითაც მათ სურთ თავიანთ შვილებს ბაბუებისა და ბებიების ნახელავ-ნაფეხურების პატივისცემა შთაუნერგონ.

ნუ დავუკარგავთ უკანონოდ დაჩაგრულ შვილებს მშობლებს ორგზის. ყოფილი ეზო მათთვის მშობლების სულთან ურთიერთობის ერთადერთი საშუალებაა. ამიტომ რეპრესირებული ოჯახების წევრთა უფლებები მათი მშობლების ყოფილ საკარმიდამო ნაკვეთზე კანონში საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, კერძოდ, ასეთი ფორმულირებით: რეპრესირებული ოჯახების შვილებს უნდა დაუბრუნდეთ მშობლების საკარმიდამო ნაკვეთები. თუ ამ ნაკვეთზე ვინმე უკვე სახლობს და სოფელში თავისუფალი ადგილი არაა მისი შენობის გადასატანად, იგი დატოვებული იქნეს და საცხოვრებლის გარშემო გამოეყოს სანიტარული მინიმუმი სარგებლობის უფლებით. ხოლო თუ სოფელში თავისუფალი სამოსახლოა, ნაგებობა გადატანილი იქნეს სახელმწიფოს ხარჯზე. ქალაქელებსაც ახალი ბინები ხომ სახელმწიფოს ხარჯზე მიეცათ?!

ალექსანდრე ფოცხიშვილი,
პროფესორი.

ჭიათურის კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს შესაშური მატერიალური ბაზა აქვს, კადრებიც ჩინებული ჰყავს, ასე რომ, გამართულ მუშაობას თითქმის არაფერი არ უნდა უშლიდეს ხელს, მაგრამ ფაქტები?... ფაქტები ჯიუტობენ, შექმნილ აზრს გიქარწყლებენ და არცთუ უსაფუძვლოდ.

პრესის ჭიათურის საწარმოო განყოფილების უფროსმა ანიკო მიროტაძემ გულით გაიხარა ჩვენი ვიზიტით, თან მკაცრი, მაგრამ საქმიანი ტონით გვითხრა:

— მადლობა უფალს, რომ გაგახსენდით, იმედი გადაგვეწურა, კარგა ხანია, ჩვენი საქმის გამკითხავი არც ჩვენი საწარმოო სამმართველოა და აღარც სამინისტრო. შარშან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 4000 ხელმომწერი გვყავდა, ჯერჯერობით კი მხოლოდ ას ოცდარვაა. ხელმომწერთა ინერტულობის მიზეზი კი პრესის დაგვიანებით მიწოდებაა. ჩვენი უფროსები უსაწვავობას იმიზეზებენ და თითქოს პასუხისმგებლობასაც იხსნიან. ნახევარი საუკუნეა ამ დარგს ვემსახურები. იყო დრო, როცა ტრანსპორტი საერთოდ არ გვყავდა, ათობით კილომეტრს ქვეითად გავდიოდით, პრესას კი არ ვაგვიანებდით. ბოლო წლებში მომკითხველობამ იკლო, ფოსტის სამსახური მოვალეობას უნიათოდ ასრულებს. ღვთის წყალობით, დგება დრო — ყველას მოეკითხება.

— პრესის მოწოდებაში კურიოზებიც გვაქვს, — საუბარში ერევა საფოსტო მუშაობის დარგის ხელმძღვანელი ნელი ბიწაძე, — 4 ნოემბერს ღამით, „თბილის-ჭიათურის“ მატარებელმა იმედი გაგვიცრუა — ვაგონი, რომელშიც ჭიათურა-საჩხერის ჟურნალ-გაზეთები ჩაუტვირთავთ, ისევ დედაქალაქში „დარჩენიათ“! იშვიათი როდია, როცა სამ-ოთხი დღის გაზეთებს ერთდროულად გვაწვდიან...

დახარისხების საამქროში თამარ ჩაფიძემ გვიმასპინძლა. 5 ნოემბერს ამ საამქროში უხვად ეწყო ორი დღის წინ გამოცემული ჟურნალ-გაზეთები. სოფლის 15 საკრებულოში გასაგზავნად გამზადებული. გაზეთების ყველაზე დიდი დასტით დავინტერესდი. მართალი გითხრათ, გამიხარდა კიდეც, — პრესის სიმრავლე მკითხველთა სიმრავლედ მეგონა... თურმე ნუ იტყვით, ეს ხვავრიელი გაზეთთა „რემა“ ოქტომბრის ბოლო დღეებიდან „უშენებიათ“ ითხვისელი სოფლის მკითხველთათვის (ალბათ, არც გამტყუნებიათ. აბა, ამ შემოდგომის გახურებული მუშაობის დღეებში როგორ მოაცდენდნენ სოფლის მშრომელებს გაზეთების კითხვით!). იქვე, ფოიეში განუკითხავად ეწყო საჩხერელთა კუთვნილი, ორი დღის წინ მატარებლით მიღებული ჟურნალ-გაზეთები. კარგა ხანია, საჩხერეში მატარებელი აღარ დადის და მათს გზავნილებს ჭიათურის ფოსტის განყოფილება იღებს. საჩხერლებს კი ტრანსპორტის საწვავი ვერ „გაეზერხებინათ“ და, ეშმაკმა უწყის, როდემდე იქნება მათი კუთვნილი პრესა მაღაროელთა ქალაქში დახვავებული.

ახლა კი საჩხერეს ვესტუმროთ...

საჩხერესა და მის ზონაში კავშირგაბმულობის 16 განყოფილებაა; მათ შორის კორბოული, ჭალაურთა, ჩიხა, ჭალა თუ პერევი რაიონული ცენტრიდან შორს არის: ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ასეთ პირობებში, როდის მიაღწევს ჟურნალ-გაზეთები ადრესატამდე.

საჩხერის პრესის საწარმოო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ციალა ლაბაძეც ვერ ფარავდა აღშფოთებას:

— ვალში ვართ ხელმომწერებთან. გაძვირების მიუხედავად, იშვიათია ისეთი ოჯახი, რამდენიმე გაზეთი არ ჰქონდეს გამოწერილი, მათს დროულ მიწოდებაში კი საფოსტო სამსახური ნამდვილად სცოდავს. ჩვენი სამინისტრო და მისი საფოსტო სამმართველო ჩვენი ბედით არ ინტერესდება. არც მითითება, არც ინსტრუქტაჟი პრესის გავრცელების თაობაზე წელს არ ჩაგვტარებია. რაიონის გამგეობა ვერაფერს გვეხმარება და ფოსტის მიწოდებაში განუკითხაობა და სრული ქაოსია. აგერ, კორბოულელთა გაზეთები სამი კვირაა უძრავად ძევს და რა გასაკვირია, თუ პრესა თავის ძირითად დანიშნულებას ვეღარ ასრულებს...

უეცრად, ერთ-ერთ თაროზე „საქართველოს რესპუბლიკის“ 1 სექტემბრის ნომრებს მოვკარი თვალი, ასზე მეტი იყო... დიახ, სამწუხაროდ, ასეა, საჩხერეში ასზე მეტმა ოჯახმა ვერ მიიღო გაზეთის გულითადი მილოცვა ახალ სასწავლო წელს და მცირედ მაინც ვერ შეუმსუბუქა ის მწარე ხვედრი, მიწისძვრამ და შინაომებმა თავს რომ დაატეხა განაწამებ ხალხს...

— ხშირად, გაზეთებს გვაკლებენ, — ფიქრიდან გამომიყვანა დახარისხების საამქროს უფროსმა ექსპედიტორმა დარეჯან ენუქიძემ, — აი, ჩემგან გაგზავნილი დეპეშებიც თბილისში, ხოზარაულის ქუჩაზე, ჟურნალ-გაზეთების დახარისხების სამსახურის სახელზე. ...29 ოქტომბრის „საქართველოს რესპუბლიკა“ დაგვაკლეს 1800 ეგზემპლარი, 31 ოქტომბრისა — 300 და ეს ცალკეული შემთხვევები როდია. რა ვუთხრათ ხელმომწერებს? ამიტომ არის, რომ ამ გაზეთის 56 ხელმომწერი გვყავს სადღეისოდ, შარშან კი ამავე პერიოდში მათი რიცხვი 3500-ს აჭარბებდა.

ალბათ, დაინტერესებული მკითხველები იმასაც შენიშნავთ, რომ ამ წერილში ჭიათურისა და საჩხერის კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოების თავკაცები კარლო გაფრინდაშვილი და ალექსანდრე კაციტაძე არ გვიხსენებია იმ უბრალო მიზეზთა გამო, რომ ისინი შვებულებაში არიან. ვერაფერს გეტყვით, უწყიან თუ არა ამ ბატონებმა, რომ დარგში შექმნილი მდგომარეობისთვის მომავლის წინაშე არიან პასუხისმგებლები? ვინ იცის, იქნებ, იციან კიდეც...

ჟურნალ-გაზეთები კი გვიანი შემოდგომის ფოთლებივით დახვავებულა სახარისხებელ საამქროებში და გამკითხავს ელიან... ნეტავ, როდემდე?!

სოზარ კუპატაძე.

ჭიათურა-საჩხერე.
6 ნოემბერი, 1992 წ.

ამ ბოლო დროს, საქართველოში არსებული კრიმინოგენული სიტუაციიდან გამომდინარე, გაიძარცვა მრავალი ეროვნული საგანძური, მათ შორის ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი, გალის მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, ირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმი... ახლახან აბაშის რაიონის სოფელ სეფიეთში კი გაიძარცვა ადრე შუა საუკუნეების ეკლესია, იგი ამ ორიოდე წლის წინათ გადაიხურა სპილენძის სახურავით, რადგან ტაძარში დაცულია XVI საუკუნის ბრწყინვალე მხატვრობა. ბოროტმზრახველებმა სექტემბრის ბოლოს, სეფიეთის ეკლესიას მოხსნეს ჩრდილოეთის კალთის სახურავი.

როგორც შევიტყვეთ, საქმეს იძიებს აბაშის რაიონის პოლიცია. ავისმქნელებმა უნდა იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან ეკლესიის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის მათ და მათ შთამომავლობას განგება მოჰკითხავს საკადრისად. ეკლესიის გაძარცვა ნიშნავს სულის გაძარცვას, ხოლო სულის გაძარცვა — სიკვდილს, ამიტომ მივმართავთ ყველას, ვისაც კიდევ განზრახული აქვს ერის საგანძურის ხელყოფა, გონს მოეგონ, თორემ ქართველი ხალხი მოჰკვეთავს მათ, როგორც ერის მტრებს.

გ. კუპრეიშვილი,
საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ინსპექციის უფროსი.

ბატონო რედაქტორო! იძულებული გავხდით შეგვეწუხებინეთ ერთი თავნება მძღოლის გამო. თბილისის მანქანათმშენებლობის უმაღლეს პროფესიულ სასწავლებელ-კოლეჯს წლების განმავლობაში ემსახურებოდა ჩვენს მიერ შეძენილი „მოსკვიჩი“ ფურგონი გრა 62-96, რომელსაც სტუდქალაქის ტერიტორიაზე არსებული განათლების სამინისტროს ავტოფარეხიდან გვიგზავნიდნენ ხოლმე. იანვრიდან ამ მანქანის მძღოლმა ნოდარ ბეჟიტაშვილმა (მცხ. ორხევის დასახლება, პეტრიწის 5) თითქმის შეწყვიტა ჩვენი მომსახურება. მიუხედავად არაერთგზის თხოვნისა და ავტოფარეხის უფროსთან მძღოლის უდისციპლინობის საკითხის დაყენებისა, მდგომარეობა უცვლელია. სექტემბრიდან საერთოდ არ მოსულა სასწავლებელში, მანქანა კი თავის მეზობლებთან გადამალა.

ამის შესახებ ჩვენ ვაცნობეთ ავტოინსპექციას, სამგორის მილიციას (საქმის კურსშია მილიციის უფროსი), განათლების სამინისტროს ავტოგაერთიანების უფროსს თენგიზ ხანიაშვილს, მაგრამ მანქანა ისევ მძღოლსა ჰყავს გადამალული და არ გვემსახურება. ნუთუ წესი და კანონი ასე უნდა ირღვეოდეს და განმკითხავი არავინ არ უნდა იყოს?

იქნებ თქვენ მაინც აღმოგვიჩინოთ დახმარება.

ნოდარ თარხნიშვილი,
კოლეჯის დირექტორი.

სარედაქციო ფოსტიდან

კარიკატურისტის კომენტარი



მხატვარი ჯესიკ ზუბაშვილი.

სხვა გაზეთებიდან

ბრეჟნევის შემდგომი რუსეთი

პარლამენტარიზმის სოციოლოგიის დამოუკიდებელმა ინსტიტუტმა საინფორმაციო სატელევიზიო სააგენტო — „იტა“-ს შეკვეთით მოაწყო ათასობით მოსკოველის მორიგი ყოველკვირეული გამოკითხვა. აი, რა ცხადყო შედარებითმა ანალიზმა:

ჩვენს პოლიტიზებულ დროში, ნებისმიერი მოვლენა თუ თარიღი, უნებლიედ გვახსენებს ცნობილ კითხვას: საით მიდის რუსეთი და სწორია თუ არა ეს გზა? წინა კვირაში ქვეყანა ერთხელ კიდევ ეთხოვებოდა თავის წარსულს. ეთხოვებოდა უმტკივნეულოდ და უმრავლესობისათვის შეუმჩნევლად. ძალზე ცოტას თუ გაახსენდა, რომ უკვე 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ლ. ი. ბრეჟნევი, კაცი, რომელიც განასახიერებდა პერიოდს, მოგვიანებით „უძრაობა“ რომ უწოდეს, ხოლო უფრო გვიან — ბევრნი ნოსტალგიითაც კი რომ იგონებენ. მაგალითად, მოსკოველთა შედარებითს უმრავლესობას, მიაჩნია, რომ XX საუკუნეში ხალხი რუსეთში უკეთ ცხოვრობდა „ბრეჟნევის დროს“ (24 პროცენტი) დანარჩენ პერიოდებს ნაკლები ქომაგები ჰყავთ: „ცარიზმის დროს, საუკუნის დამდეგს, უკეთ ცხოვრობდნენ“— 17 პროცენტი, ლენინის დროს, — 1 პროცენტი, სტალინის დროს — 8 პროცენტი, ხრუშჩოვის დროს — 16, გორბაჩოვის დროს — 2, ამჟამად — 5. სიტუაციის პარადოქსულობა ის არის, რომ დღეს ცოტა ვინმეს თუ მიაჩნია, უძრაობის პერიოდი „ოქროს ხანად“. ამას უფრო ეთქმის ნოსტალგია „წყნარ, მშვიდ ცხოვრებაზე“. მაგალითად, თვით ლ. ბრეჟნევის საქმიანობა საკმაოდ კრიტიკულად აღიქმება: 46 პროცენტი მას უარყოფითად აფასებს, 30 — დადებითად. მაგრამ, არც ბრეჟნევის გარდაცვალების შემდგომი ათწლეული იწვევს საყოველთაო აღტაცებას. 33 პროცენტის აზრით, ამ პერიოდის მანძილზე რუსეთის ცხოვრებაში „მეტი ცუდი ამბები მოხდა, ვიდრე კარგი“.

ყოველივე ეს შეიძლება გაიგო კაცმა. ახლანდელ სიტუაციაში ბევრი ადამიანისათვის მკვეთრად გამწვავდა ელემენტარული გაძლება-გადარჩენის პრობლემები. აი, რა აწუხებთ ყველაზე მეტად, მოსკოველებს, როდესაც ისინი მომავალ კვირაზე ფიქრობენ: ოჯახის ეკონომიკური, მატერიალური მდგომარეობა — 70 პროცენტი, ოჯახის წევრთა, ახლობელთა უსაფრთხოება — 42 პროცენტი, პოლიტიკური სიტუაცია — 33 პროცენტი.

და მაინც, გარდამავალი პერიოდის სიმძიმის მიუხედავად, რუსეთის საშინაო პოლიტიკა ჯერჯერობით წარმატებით იმაგრებს თავს მოსახლეობაში „მხარდაჭერა — მხარდაუჭერლობის“ ზღვარზე. მაგალითად, 26-დან (ოქტომბრის დამლევი) 36 პროცენტამდე გაიზარდა იმათი რიცხვი, ვისაც სჯერა ბ. ელცინის ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებისა, მაგრამ 50 პროცენტს კვლავინდებურად „არ სჯერა“ (ოქტომბერი — 58), ხოლო 14-ს გაუჭირდა ეპასუხა. ამასთან, უიმედო, — მათ შორის ჩვენი — პროგნოზების საწინააღმდეგოდ, 37-დან (17 ოქტომბერი) 48 პროცენტამდე გაიზარდა, იმათი რიცხვი, ვისაც მიაჩნია, რომ ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას რუსეთის მთავრობას შეუძლია ხალხის მოთმინების იმედად იყოს.

შედარებითი გამოკითხვებით თუ ვიმსჯელებთ, ეკონომიკური კრიზისიდან რუსეთის გამოსვლის იმედებს ბევრნი კვლავინდებურად უკავშირებენ უპირატესად, აღმასრულებელ ხელისუფლებას — რუსეთის პრეზიდენტს (მარტი — 23, ნოემბერი — 25 პროცენტი), მთავრობას (მარტი — 11, ნოემბერი — 12), აგრეთვე რუსეთის მეწარმეებს (მარტი — 20, ნოემბერი — 16 პროცენტი).

არ იწვევს მასობრივ ოპტიმიზმს არც დასავლეთის ეკონომიკური დახმარება. მოსკოველთა მხოლოდ 28 პროცენტი უკავშირებს ამ დახმარებას კრიზისიდან გამოსვლის იმედს, მაგრამ 65 — „არ უკავშირებს“. ეს ეტყობა, არ არის შემთხვევითი: ივლისის 29 პროცენტიდან ნოემბერში 42 პროცენტამდე გაიზარდა იმათი რიცხვი, ვისაც მიაჩნია, რომ „დასავლეთის უდიდესი სახელმწიფოები არ არიან დაინტერესებულნი რუსეთის აყვავებით“. შესაძლოა, ამ გარემოებითაც აიხსნებოდეს დიდ ბრიტანეთში პრეზიდენტ ბორის ელცინის ამასწინანდელი ვიზიტის შედეგებისადმი გამოჩენილი ერთგვარი სკეპტიციზმი: 18 პროცენტს აკმაყოფილებს ამ ვიზიტის შედეგები, 14-ს არ აკმაყოფილებს.

ნუგზარ ბეთანელი,
პარლამენტარიზმის სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

„იზვესტია“, №249,
17/XI-92 წ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

რუსეთისა და ჩეჩნეთის ჯარების დაშორიშორება პრაქტიკულად დამთავრდა

ამის შესახებ მოვიდა იტარ-ტასის ცნობა გროზნოდან. როგორც რუსეთის მხარემ, ასევე ჩეჩნებმა 8 კილომეტრის მანძილზე დაიხიეს უკან დაპირისპირების ხაზიდან. გამიჯვნის ზონაში მუშაობს შერეული კომისია, რომელშიც შედიან ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და რუსეთის ჯარების თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლები. გარდა ამისა, მხარეებმა მოილაპარაკეს, შექმნან თავთავიანთ პოზიციებთან საგუშაგოები, რათა არ დაუშვან იარაღისა და საბრძოლო მასალის შეტანა. ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომელიც ავალებს უშიშროების სამინისტროს და ეროვნული უსაფრთხოების სამსახურს, გამოავლინონ იარაღის გამყიდველები და გადასცენ ისინი მკაცრ პასუხისგებაში. თანამდებობის პირებს უფლება ეძლევათ, გამოიყენონ იარაღი, თუ წინააღმდეგობას გაუწევენ იარაღის ჩამორთმევისას.

გენერალი ჯონ შალიკაშვილი კიევში

კიევში ნატოს ოფიციალური დელეგაცია, რომელსაც, მეთაურობს ევროპაში ჩრდილოატლანტიკური ბლოკის გაერთიანებული ჯარების და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ახალი უმაღლესი მთავარსარდალი, გენერალი ჯონ შალიკაშვილი, შეხვდა უკრაინის რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, მათ შორის პრეზიდენტ ლეონიდ კრავჩუკს. გენერალი უკრაინის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი ქვედანაყოფის სამხედრო წვრთნას დაესწრო. უკრაინის თავდაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა კონსტანტინე მოროზოვმა თქვა, რომ ნატოს დელეგაციის კიევში ყოფნისას განიხილეს დოკუმენტთა პროექტები „შეიარაღებული ძალების სტრუქტურების რეფორმირებისა და თავდაცვის საქმიანობის საკითხებში თანამოქმედების შესახებ“. გენერალმა ჯონ შალიკაშვილმა უკრაინელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად იგი მიიჩნევს ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობასა და უკრაინას შორის ღია ურთიერთობის და თანამოქმედების დამყარებას, „მე ვფიქრობ, რომ ეს ვიზიტი განამტკიცებს უკრაინასა და ნატოს შორის მეგობრობას — თქვა ჯონ შალიკაშვილმა.

თავის მხრივ, უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა დაადასტურა, რომ უკრაინა არ აპირებს დაარღვიოს უბირთვო სახელმწიფოს სტატუსი.

კიევში მოელიან, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს სემ ნანსა და სენატორ ლუგარსს, რომლებიც ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მოგზაურობენ და აპირებენ ეწვიონ ბელარუსეთს, ყაზახეთსა და რუსეთს.

18 ნოემბერს უკრაინის დედაქალაქიდან გაემგზავრა ნატოს სამხედრო დელეგაცია ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ჯონ შალიკაშვილის მეთაურობით.

ორი პრეზიდენტის შეხვედრა

ამერიკის შეერთებული შტატების ახლად არჩეული პრეზიდენტი ბილ კლინტონი ლიტლ-როკიდან ვაშინგტონს გაემგზავრა. იგი პირველად (პრეზიდენტად არჩევის შემდეგ) შეხვდება ჯორჯ ბუშს.

მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ ბილ კლინტონს სურს, უშუალოდ მოისმინოს მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე ჯორჯ ბუშის მოსაზრებები და განიხილოს გარდამავალ პერიოდში ხელისუფლების გადაცემის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები.

თითო აბზაცით

ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის დაცვის კორპუსის 100 მოხალისე მზად არის გაემგზავროს რუსეთში, რათა ასწავლოს რუსებს პრივატიზაცია და საბაზრო ეკონომიკა. მოელიან, რომ ჯგუფი მოსკოვში 21 ნოემბერს ჩამოვა. მოხალისეები 2 წელიწადს იმუშავებენ.

როიტერის სააგენტოს ცნობით, ერაყმა პირველად აღიარა, რომ მისი ინჟინრები მუშაობდნენ ბირთვული იარაღის შექმნასთან დაკავშირებული მოწყობილობის შემუშავებაზე. ადრე ბაღდადი უარყოფდა ამგვარ ფაქტებს.

ასი წლის გალაკტიონ ტაბიძე



17 ნოემბერს ქართველ მწერალთა ჯგუფმა თაიგულებით და გვირგვინებით შეამკო დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის საფლავი მთაწმინდაზე.

გივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოძღვარი

გივი სომხიშვილი

ისე გათენდა, როგორც საუკუნეთა მანძილზე გათენებულა მრავალთა მოძღვართა ბატონობის დროს, როგორც ამ ათეიზმის მძვინვარების, უკიდეგანო ძალადობის სამოთხეში. მზე ყველასთვის ერთნაირი და განურჩეველი იყო, ასევე ათბობდა იერუსალიმის, ათენისა თუ ვატიკანის უფლისათვის ლოცვაში ჩანდალეულ ადამიანებს, როგორც ამ სსრკ იმპერიის პატარა, განაპირა კუთხის მამულიშვილთ.

მთელი თაობის გაუღმერთოების მექანიზმი წუთითაც არ შეჩერებულა. თუ ადრე ღმერთთან ბრძოლის პროგრამით მუშაობდნენ, ახლა აქა-იქ შემორჩენილ მორწმუნეებზე ნადირობდნენ, რამეთუ ისე შემცირდნენ, როგორც ბრაკონიერთა მიერ იავარქმნილ ნაკრძალში ხოხობი, რაიმე საეკლესიო ნიშნით, თუნდაც შეთქმულ ყვინჩილას ხატისათვის შეწირვა იდეურ გახრწნად და პოლიტიკურ არასაიმედობად ითვლებოდა. საეკლესიო დღეობებზე, ჯვრისწერაზე, ნათლობაზე არარეგალურად მოსულთა გამჟღავნება შეიძლება სამსახურის დათმობად · შეფასებულიყო, თუ უარესი არა. ამიტომ ყველა ცდილობდა, შეუვალ ათეისტად წარმოედგინა თავი, რამეთუ, ეს ამქვეყნიურ წარმატებათა საწინდარი იყო, მორწმუნეობა კი ყველა უბედურებისა.

მოკლედ, ათეიზმის ფსიქოზის გაფურჩქვნის ერთი დღეთაგანი იყო, რომ ამოვიდა ჩვეულებრივი მზე უბატონოდ ნაკურთხ ქიზიყის პატარა ქალაქში.

ჭადრის ჩრდილში თხუთმეტამდე ახალგაზრდა შეკრებილიყო. მოპირდაპირე მხარეს, ავტობუსების სალაროსთან ხალხი ირეოდა, ერთ ავტობუსში უკვე სხდებოდნენ, სხვები თავიანთ მარშრუტს ელოდნენ. ცხელოდა, ჰაერი ჯარისკაცის ჩექმასავით დამძიმებულიყო, ნიავიც არ იძვროდა. სადღაც ინტერნაციონალს უკრავდნენ... დასიცხულ ქუჩაში გამოჩნდა გრძელანაფორიანი, მკერდზე ჯვრიანი, ხელჯოხიანი კაცი. მაღალი, მხარბეჭიანი, შავ წვერულვაშიანი, ხარივით მძლავრ კისრიანი, ხარივით მშვიდი; კეთილი, დიდრონი თვალებით სიკეთეს და სათნოებას აფრქვევდა ირგვლივ, დაკვირვებული და მეოცნებე თვალი მასში ანაფორაგადაცმულ შეჭაბუკებულ მოძღვარს, მუდამ მტრის თავდასხმის მოლოდინში რომ იყო. ქართველ მოჭიდავეს. ძარღვმაგარ მიწის მუშას წარმოიდგენდა. ყოველივე ეს შეეფერებოდა გამძვინვარებული უღმერთობის პერიოდის ბოდბის მონასტრის მოძღვარს. ქუჩა გადაჭრა, შეჯგუფებულ ახალგაზრდებს რომ გაუსწორდა, ერთმა მიაძახა:

— მღვდელო, ეგ ჯვარი შენია, თუ უფალმა გიწყალობა?! — ახალგაზრდები ახარხარდნენ.

— ღმერთი აღარ არი, შენ ვილას ემსახურები, წვერიანო?

— საკუთარ თავს ემსახურება, მატყუარა და უქნარაა, ეტყობა, ანაფორის შიგნით ხაშლამის ნარჩენებით ექნება გამოტენილი ჯიბეები.

— აპატიე უფალო, რამეთუ უგნურნი და სატანისგან ცდუნებულ არიან! — მოძღვარმა პირჯვარი გადაიწერა.

— მე გაჩვენებ შენ, როგორია შენდობა! უნდა შამოგაფხრიწო ეგ ანაფორა, უტვინო ხალხის დაბრმავება რომ გინდა! — ერთი ანაფორის კალთაზე მისწვდა და შემოხევა მოუნდომა.

მოძღვარმა ურხევით მძიმე ხელი ჩაავლო კისერში, კუნძივით დაატრიალა და იქვე გაზონის ბუჩქში შეაგდო; მერე ყველაფერი აირია, ერთმა ანაფორიანმა ჯანმაგარმა კაცმა თხუთმეტამდე მოხულიგნო ღვთისმგმობელი მიტყიპა და გაქცია. მარტო დარჩენილმა ანაფორა ჩამოიბერტყა, გულზე დაკიდებული ჯვარი შეისწორა და ხმალივით რომ ხმარობდა, იმავე ჯოხის დინჯი კაკუნით ისე განაგრძო გზა თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

ვისი იმედი უნდა ჰქონოდა მოძღვარს ამ ათეიზმით დამუხტულ საზოგადოებაში, თუ არა თავისი საკუთარი შემართების და მკლავისა. ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი უსიამოვნება შემთხვევია?!...

ბოდბის მონასტერი აოხრებული იყო. ქართველი მრევლისგან და [illegible] მიტოვებული [illegible] [illegible] რუსული [illegible] [illegible] [illegible] მლოცველ-მოლოზნებით დამუხტვით შებუდრული.

ან სამრეკლოში, მოძღვარიც თავიანთი ტომისა ჰყავთ. ეკლესიაში კი მდუმარედ დგას მრევლშემომფრთხალი საქართველოს განმათავისუფლებლის, წმინდა ნინოს სარკოფაგი. საერთო საცხოვრებლები, ბარაკები და უამრავი საქათმე-საღორე თავისი სიბინძურით აყროლებს წმინდა ადგილს. ეკლესიას საძირკველს ღორები უჩიჩქნიან. ვიღაც ქართველი ქურდულად თუ შეიპარება და რუსულად მონათლავს შვილს, თორემ სხვა ყველასგან მივიწყებულია. აქა-იქ რუსული მრევლი თუ გამოჩნდება ამ შევიწროვებულ-შელახულ წმინდა ადგილას. ათეიზმი ღმერთთან ბრძოლაში გამარჯვებას ზეიმობს. აი, ამ დროს ბოდბის ეკლესიის მოძღვარი მამა ათანასე, ანზორ ჩახვაშვილი, თავისი ღვთისმორწმუნე ოჯახით შეუდგა წმინდა ნინოს დაწყებულ საქმეს, უხეში ძალის შიშით შთამომავლებმა ესოდენ რომ დაივიწყეს.

დიდი ძალისხმევა დასჭირდა ამ წმინდა ადგილას კვლავ ქართული წირვა-ლოცვის აღდგენას. მოასუფთავა მიდამო და შემოავლო ქვითკირის კედელი ეკლესიას მაშინ, როდესაც ეს დანაშაულად ითვლებოდა: მისი ძალისხმევით შეფერხდა ღმერთთან ბრძოლა. ახლა უფლის პოზიციიდან შეუდგა უღმერთობას. არც ეროვნული საქმე და ჩვენგან მოკვეთილი ძმები დაივიწყა, საინგილოს ეკლესიები მოიარა და ღვთისთვის შეწირული კაცის ბრძოლა გადაიხადა ანტიქრისტე და ანტიქართულ უღმერთოებთან. ვერაფერი ვერ დააკლეს, ვისაც ქრისტიანობის პროპაგანდისა თუ ნაციონალიზმისთვის მოუხერხეს დაპატიმრება. ამაში მას თავისი მაგარი ჯანი და გაუტეხელი მორწმუნის ნებისყოფა ჰყავდა თანამებრძოლად.

ბედი კაცისა

მიწის მუშა მოძღვარი შრომობდა ისე, რომ ყველა გლეხს აკვირდებოდა, უყვარდა ბარაქიან მიწასთან ჭიდილი ჯანმაგარ ვაჟკაცს. თავისი პირადი მაგალითით უნერგავდა ადამიანებს უფლის რწმენას და ამრავლებდა სამწყსოს.

იგი არ იყო არც კირიონი, არც ახალაია, ის იყო ბოდბის ეპისკოპოსი ათანასე ჩახვაშვილი, რომ გამოაფხიზლა მრავალი ადამიანი და გაბოროტებული აზროვნება ეკლესიისკენ შემოაბრუნა. და აი, დადგა მისი ჯერიც. გეგმა იქ შეადგინეს, ზევით, როგორც სჩვევიათ კანონის საკუთარ ხუშტურებზე ჭრა-კერვის ნებიერთ. ათანასეს მოუჩინეს მხევალი ქალი, რომელმაც მისი ყველაზე საყვარელი ღვთისმშობლის ხატი მოიპარა და...

შენი მოპარული ხატი ვიპოვეთ, გამოუცხადა გამომძიებელმა დაპატიმრებულ მოძღვარს, უჩვენა ხატი და მათივე აგენტი ქალის ჩვენება. მწარედ ჩაეცინა ათანასეს...

პრიმიტიულად შეთითხნილმა საქმემ ბოლო აუშვა და თვითონ მის შემოქმედთ დახწვა თვალები. საქართველოს ეკლესია ილია მეორის ძალისხმევით ფეხზე დგებოდა, სამწყსო იზრდებოდა: გამოშვლებული იდეოლოგიიდან ჯარისკაცის ხიშტიღა მოჩანდა. ვენახების გრანდიოზული გაშენების პროგრამას შალაფა და ნარი ჰამდა, ჭერ ვაზის გაგლეჯის და ღვინო-არყის დამნაშავედ გამოცხადების კანონი არ მიეღოთ...

ბრეჟნევი სამარეში ჩაუვარდათ... ქიზიყში მივლინებული რაიკომის მდივანი, შემდგომში „ქიზიყის ჩაუშესკუდ" გაძევებული, ბობოქრობდა. ბოდბის მოძღვარი ათანასე კი მხურვალედ ლოცულობდა.

[illegible] ამოდიოდა, ქართველ[illegible] მარხვის [illegible] დღესასწაულებისადმი ცნობა [illegible] [illegible].

ცოტაც გაიღიმეთ

„ი(ზ)ვერია— ჭორი"

დეპეშა:

„მექსიკის შეერთებული შტატები.

ქალაქი მეხიკო.

ბ-ნ ლუის ალბერტო დე სალვატიერას!

აღარ შეგვიძლია თქვენი ტანჯვა-წამების და გაუმართლებელი დაცემის ყურება ყოველ დილა-საღამოს, იძულებული ვართ შეგატყობინოთ ის, რაც მთელმა მსოფლიომ იცის, რასაც ასე გულდაგულ და უნამუსოდ გიმალავენ: სინიორ ლუის ალბერტო, ლატარიის ბილეთების გამყიდველი ბეტო (იგივე ალბერტო) თქვენი ღვიძლი შვილია, შენი და მარიანასი!

საქართველოს ნერვებდაწყვეტილი ტელემაყურებლები.

• • •

დეპეშა:

„მექსიკის შეერთებული შტატები.

ქალაქი მეხიკო.

ბ-ნ ბეტოს!

ცხოვრებამ ერთხელ უკვე მოგიწყო მკაცრი გამოცდა ჩვენო ბეტიტო და აღარ გვინდა კვლავ გაგიმეოროს. სასწრაფოდ უნდა შეგატყობინოთ ის საიდუმლო, რომელიც აღარავისთვის აღარ არის საიდუმლო — შენი მშობელი დედა არის სინიორა მარიანა! აქედან გამომდინარე — ლუის ალბერტო დე სალვატიერა შენი მშობელი მამაა! გარდა ამისა. რათა ახალი სანერვიულო თავიდან აგაცილოთ, გაცნობებთ: თქვენი გულის სატრფოს, მარისაბელის, ნამდვილი დედ-მამაა არა მარიანა და ლუის ალბერტო, არამედ სინიორა ჯოანა და შესაბამისად მისი მომავალი მეუღლე კარლოსი. ქორწილში დაპატიჟებული ბრძანდებით! ასე რომ, თამამად შეგიძლია სტაცო ხელი გულის სატრფოს და ბედნიერად იცხოვრო შენი ნაღდი დედის ნარჟქარ ბინაში!

უფ!..

შენი კეთილისმსურველი ქართველი ტელემაყურებლები.

მორიგე პორტაიპთან
ლერი ჩანტლაძე.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

გაღმა-გამოღმა ხრეითში მალე იქნება ქეიფი!..

სოზარ კუპატაძე

ხრეითი ჭიათურის ზონაში ყველაზე დიდი და მაღალმთიანი სოფელია. იმერეთ-რაჭის საზღვარზე გაშლილ, ულამაზესი კოლორიტით შემკულ ამ სოფლამდე ოციოდე კილომეტრია ქალაქიდან.

დიდი ხნის წინათ, ხრეითელთა წინაპართ სოფელი პირობითად დაუყვიათ და გაღმა-გამოღმა ხრეითი შეურქმევიათ, ასევე უწოდებენ დღესაც ამ სოფელს.

ათასზე მეტი კომლი სახლობს ხრეითში. შარშან საქართველოში მომხდარმა მიწისძვრამ თავისი მსახვრალი ხელი ამ სოფელსაც დაატყო, იყო მსხვერპლი, დაინგრა მრავალი საცხოვრებელი სახლი და დამხმარე ნაგებობანი, სასწავლო, სამედიცინო, კულტურისა და სხვა სოციალური დანიშნულების რამდენიმე ობიექტი.

სტიქიამ ვერ გატეხა ადამიანები. უმძიმესი განსაცდელის ჟამს ხალხი დაირაზმა. გაჭირვებაში ჩავარდნილთა დასახმარებლად ფეხზე დადგა სრულიად საქართველო. ვინ ბინას სთავაზობდა უსახლკაროებს, ვინ სურსათსა თუ ტანსაცმელს... იყო იმედი და რწმენა. დიდი და პატარა ვაჟკაცურად უმკლავდებოდა გაჭირვებას. ერთსულოვნებამ და თანადგომამ იმარჯვა — ერთ მუშტად შეკრულმა ხალხმა სწორედ რომ შეუძლებელი შეძლო. სოფელში უკვე აშენდა არასრული საშუალო სკოლა და სოციალური დანიშნულების ობიექტები, ხელახლა აიგო ან გამაგრდა მრავალი საცხოვრებელი სახლი და დამხმარე ნაგებობანი..

მიწისძვრით დაზიანებული ობიექტების აღდგენითი სამუშაოების, სამშენებლო კომპლექსის შტაბში ქებით მოიხსენიეს მრავალი სამშენებლო ორგანიზაცია, მათ შორის „ჭიათურმანგანუმმშენის" ბინმშენის სამმართველოც, რომელსაც ბადრი ცუხიშვილი თავკაცობს.

— გაღმა ხრეითში, სადაც ამჟამად ვმუშაობთ, — თქვა სამშენებლო უბნის უფროსმა ზაურ ხარაზიშვილმა, — 50 საცხოვრებელი სახლი იყო დანგრეული და დაზიანებული, მათგან თერთმეტი — ახლად ასაშენებელი. უკვე ავაგეთ და საექსპლოატაციოდ გადავეცით ახალი საცხოვრებელი სახლები მარო ქოქოსაძის, ნინა, ფარვიზ, ბადრი და ბონდო ლოლაძეების, მურმან და მამული მოდებაძეების მრავალშვილიან ოჯახებს. წლის ბოლომდე ჩავაბარებთ ელდარ მოდებაძისა და გიორგი ლოლაძის საცხოვრებელ სახლებსაც. ერთი სახლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება საშუალოდ 800 ათას მანეთს აღემატება.

... შრომასთან შერკინებული ვიხილეთ სამუშაოთა მწარმოებელი მამული მოდებაძე. იგი ზინა აბესაძისა და გურამ შეყილაძის საცხოვრებელი სახლების ბეტონის სამუშაოებს ასრულებდა, ციბრუტივით ტრიალებდა ეს ლომივით ვაჟკაცი ხარაჩოებზე, სამუშაოს ისე ანაწილებდა, რომ არც ერთი საქმე არ ჩამორჩენილიყო. მოწინავე მშენებლებიც მანვე გაგვაცნო — ბადრი და ბიჭიკო ქოქოსაძეები, ჯონდო ცერცვაძე, რაჟდენ მოდებაძე, მძღოლი ბიჭიკო მუზიტიძე და სხვები, რამდენი ერთი ჩამოვთვალოთ... მართალია, საწვავისა და ხის მასალის მწვავე დეფიციტი გვაქვს, მაგრამ ყოველ ღონეს ვიხმართ და წლის ბოლომდე ორ ახალ საცხოვრებელ სახლს კიდევ ჩავაბარებთ პატრონებსო, — გვითხრა ბატონმა მამულიმ.

თანადგომა

უკან გამოვყევი ხასხასა სიმწვანეში ჩაფლული სოფლის გზის ბილიკებს. ბარაქიანი შემოდგომის დამათრობელი სურნელი იფრქვევა ირგვლივ, ლამაზად ჩარიგებულან ხარაჩოებში იმერული კოპწია ოდა-სახლები... კიდევ რამდენიმე ხანიც და ახალსახლობას იზეიმებენ სტიქიით დაზარალებული სხვა მცხოვრებნიც, კვლავაც დაირწევა აკვნები ახალ ფუძეზე, კვლავაც შეძრავს ჭერს მრავალჟამიერი და „გაღმა-გამოღმით ხრეითი"...

გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

ნოდარ დუმბაძის „ელადოსი" ბერძნულად

ათენში გაიხსნა გამოფენა „შავიზღვისპირეთის ბერძნები ანტიკური დროიდან დღემდე", რომელზეც გაიმართა ნოდარ დუმბაძის ბერძნულ ენაზე ნათარგმნი წიგნის „ელადოსის" პრემიერა. მწერლის პორტრეტით დამშვენებული ლამაზი წიგნი, რომელსაც ახლავს ცნობილი ისტორიკოსის მარიანა კორომილას შესავალი სტატია საქართველოზე და ქართველი და ბერძენი ხალხების დამაკავშირებელი ღრმა ფესვების შესახებ, გამოიცა ბერძნული კულტურული საზოგადოების „პანორამის" ინიციატივით. თარგმანი ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს თამარ მესხს, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუშაობდა კრეტის მართლმადიდებელი აკადემიის მიწვევით.

ბუნება და სტიქია

შტორმის შედეგები

ბათუმი, 18 ნოემბერი. (საქინფორმის კორ. თამაზ გინძეხაძე). გასულ კვირას, სალამოს, ძლიერი შტორმის გამო, დაზიანდა გზის მონაკვეთი თურქეთის საზღვართან, სოფელ სარფში. 9-12-ბალიანმა ტალღებმა წარეცხა ლოდები, დააზიანა გზის გასწვრივ მდგომი მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, ტურისტული ავტობუსები. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის.

უფრო ძლიერ დაზიანდა გზის მონაკვეთი თურქეთის მხარეზე. ცალკეულ ადგილებში მთლიანად წახდა სავალი ნაწილი. შეწყდა მოძრაობა სარფ-ქემალ-ფაშა-ხოფის ხაზზე.

ყველა სახეობის ტრანსპორტის გავლა თურქეთის რესპუბლიკაში შეჩერებულია. მიმდინარეობს საწმენდი და აღდგენითი სამუშაოები.

• • •

სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით, რომლის შედეგად, დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები სარფის საკონტროლო-გამშვები პუნქტის ორივე მხარეზე, ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტის გამო, ახლახან შემოღებული მოსახლეობისათვის მისი მიწოდების გრაფიკი დროებით დაირღვა. მოსახლეობა გაგებით ეკიდება იძულებით ღონისძიებას.

[illegible]-ინფორმაცია

აბა, თქვენ იცით, მწეველებო!

19 ნოემბერი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში თამბაქოს წევასთან ბრძოლის დღედ არის გამოცხადებული. ამ დღეს ძლიერდება პროპაგანდა, რომელიც მოუწოდებს ადამიანებს უარი თქვან ამ მავნე ჩვევაზე, ეწყობა შეხვედრები, კონფერენციები, სხვადასხვაგვარი შოუ. ამის შედეგად, სპეციალისტთა და ენთუზიასტთა მონაცემებით, ყოველდღიურად ახალი წევრები ემატებიან არამწეველთა არმიას.

„ღამის ცეკვა" დაჯილდოვდა სალონიკში

როგორც ათენიდან იტყობინებიან, ქართველი რეჟისორის ალეკო ცაბაძის ფილმმა „ღამის ცეკვა" საბერძნეთის ქალაქ სალონიკში კინოფესტივალზე პირველი პრიზი მიიღო ინგლისელი რეჟისორის სელი პორტერის ფილმთან „ორლანდოსთან" ერთად. როგორც ადგილობრივმა სააგენტომ გადმოსცა, პირველ პრიზთან „ოქროს ალექსანდრესთან" ერთად, ფილმი 50 ათას ეკიუ ფულად პრემიასაც მიიღებს. ფესტივალზე საუკეთესო მსახიობად ცნეს ტარას დენისენკო უკრაინულ-კანადურ ფილმში „ასფიქსია" ნათამაშები როლისათვის.

ჩვენი ამბებით შთაგონებული

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების უფროსმა რეფერენტმა სვეტლანა ჩადუნელმა, რომელიც ამავე საზოგადოებასთან შექმნილი „საქართველო — დიდი ბრიტანეთის" ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანია, საინტერესო წიგნი მიიღო ლონდონიდან. ეს არის ცნობილი ინგლისელი მწერლისა და ჟურნალისტის სტივენ ბრუკის ვრცელი ნარკვევი „კიბორჩხალას ბრჭყალები, საქართველო და სომხეთი კრიზისში".

როგორც ქალბატონმა სვეტლანა ჩადუნელმა გვითხრა, ბატონ სტივენს ამ წიგნის დაწერა შეუკვეთა საკმაოდ პრესტიჟულმა გამომცემლობამ „სინკლერ სტივენსონმა". ავტორი სამჯერ ჩამოვიდა საქართველოში. თვითონ მოწმე გახდა შარშანდელ სექტემბერ-ოქტომბერში, დეკემბერსა და წლევანდელი წლის იანვარში ჩვენში მომხდარი რთული პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური ძვრებისა და მკითხველს ვრცლად და ობიექტურად მოუთხრობს შექმნილ ვითარებაზე.



ჩვენ თუ კიდევ გაცოფება გვაკლია!

რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილია ცოფით დაავადების ხუთი შემთხვევა. ამ პრაქტიკულად უკურნებელი სენის გავრცელების მიზეზი ძირითადად ჩვენი მოუწესრიგებელი ყოფა-ცხოვრებაა. მაწანწალა ძაღლები და დაკბენის დროს დახმარების გაწევის დაგვიანება, საერთოდ, მთელს რესპუბლიკაში გამეფებული ანტისანიტარია, საკანალიზაციო და წყალსადენი ქსელების უწესრიგობა, ქალაქებში დიდძალი ხალხის თავმოყრა და ჰიგიენის ელემენტარული ნორმების დაუცველობა, უკონტროლობა სასურსათო პროდუქტებისადმი და ათასი სხვა დაგროვილი პრობლემა, მრავალი მოსალოდნელი ეპიდემიის წყაროა; ამიტომ, ყველამ ერთიანი ძალისხმევით უნდა მივხედოთ ჩვენს თავს, თორემ გაძვირებული სადეზინფექციო საშუალებანი არც ჩვენ გვაქვს და ვერც საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს.

განმარტება

ჩვენი გაზეთის 18 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში — „მედლის მეორე მხარე" — ბოლოდან მე-3 აბზაცი უნდა იკითხებოდეს: „სხვათა შორის, ომის ბოლო წლებში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში საკმაო რაოდენობით ქართველებიც (ხევსურები) ჩასახლდნენ". შემდეგ, როგორც ტექსტშია.

ფირმა "უნისონი" გთავაზობთ თქვენი რეკლამის განთავსებას საქართველოს. აეროპორტებსა და თვითმფრინავებში, პორტებსა და გემებზე, თბილისის მეტროპოლიტენსა და საქალაქო ტრანსპორტზე.

ფირმა "უნისონი"-ს საშუალებით თქვენი რეკლამა შემოივლის მთელ მსოფლიოს!

გახსოვდეთ! რეკლამა ტრანსპორტზე - ყველაზე იაფი.

ხანგრძლივი და მომგებიანია თქვენი ბიზნესისათვის!

380008, თბილისი, რესპუბლიკის მოედანი №1,
სასტუმრო „ივერია", I სართული, ოთახი 120.
ტელეფონი: 93-05-00, ფაქსი 98-96-39

გამოიწერეთ!

ყოველდღიური ქართული გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა



ტრადიციული,
ოპერატიული,
ყველაზე იაფი
სახალხო გაზეთი

გახსოვდეთ: ხელმომწერთათვის ჩვენი გაზეთის ერთი ეგზემპლარი ღირს მხოლოდ 1 მან და 50 კაპ. საცალო ვაჭრობაში კი 3 მანეთად გაიყიდება.

გაისად, ინფლაციის მიუხედავად, გაზეთის ფასს შევინარჩუნებთ.

ხელმოწერა ნახევარი წლით მხოლოდ 234 მანეთი ღირს, ერთი წლით კი 468 მანეთი დაგიჯდებათ.

იმათ კი, ვისაც მთლიანად 1992 წლისთვის ჰქონდა გამოწერილი ჩვენი გაზეთი და დამატებითი ხელმოწერის გამოცხადების შემდეგ გადაიხადა 6 თვის ნომრების ღირებულება 110 მანეთი ან 4 თვისა — 80 მანეთი, სათანადო ქვითრების წარდგენის შემთხვევაში ეს თანხა [illegible] ხელმოწერის ღირებულებაში ჩაეთვლებათ.

„საქართველოს რესპუბლიკაზე" ხელმოწერის დამთავრებამდე მხოლოდ 12 დღე რჩება!

იჩქარეთ, არ დაიგვიანოთ 1993 წლისათვის ხელმოწერის გაფორმება!

სპორტი

სასურველი მეორე ადგილი ჩვენია?

მეთორმეტე ტურმა კიდევ უფრო გამოკვეთა ქართველ დიდოსტატთა მზარდი პერსპექტივები ჩინეთის ქალაქ შანხაიში მიმდინარე პრეტენდენტთა საჭადრაკო ტურნირის მეორე ადგილისათვის ბრძოლაში.

მაია ჩიბურდანიძემ მომგებიანი ქულა მოიპოვა ფინალის საგზურისათვის ბრძოლაში თავის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო მეტოქესთან — ამერიკელ ირინა ლევიტინასთან პარტიაში, ხოლო ნანა იოსელიანმა სძლია ჩინელ ვანგს. დანარჩენმა ორმა მასპინძელმა ყაიმით დაასრულა შეხვედრები: ცინმა — პოლგართან, პენგმა — მარიჩთან. ამ დღეს ისვენებდა ნონა გაფრინდაშვილი.

მეცამეტე ტურის წინ ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: პოლგარი — 10,5, ჩიბურდანიძე — 7,5 იოსელიანი — 7 ქულა.

„შერიები" — „ვერეში"

საცურაო კომპლექს „ვერეში" დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში, რომელშიც ძირითადად დედაქალაქის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

სოლისტთა შორის მსაჯების გული ყველაზე მეტად მოინადირა ტატიანა მენაბდემ, ხოლო დუეტთა პაექრობაში შეუდარებელნი იყვნენ ლილი ბოკერია და ხათუნა წიკლაური.

ჩემპიონები თბილისის „შევარდენის" სპორტკლუბის წარმომადგენლები არიან.

გურჯაანო, შენ ფეხბურთის გული ხარ?

სამშაბათს საქართველოს სტადიონებზე გაიმართა ეროვნული ჩემპიონატის რამდენიმე გამოტოვებული და პირველი წრის ბოლო ტურიდან გადმოტანილი მატჩი, რომლებშიც წარმატება მასპინძლებს მოუტანა. მათი შედეგები ასეთია: „გორდა"-„დილა" — 4:2, „გურია"-„ტორპედო" — 2:1, „ალაზანი"-„ცხუმი" — 4:3.

ამ გამარჯვებით გურჯაანელმა ფეხბურთელებმა სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლეს.

ბრიტანელთა „შავი დღე"

დასასრულს უახლოვდება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების წლევანდელი ციკლი.

გუშინწინ ევროპის სტადიონებზე გაიმართა კონტინენტის საკვალიფიკაციო ჯგუფების 4 შეხვედრა, რომელთაგან სამში მინდვრებზე გამოვიდნენ ბრიტანელები. მათი „მიღწევა" — 3 დამარცხება (აქედან 2 — შინ) ფეხბურთის სამშობლოში გაჭიანურებული კრიზისის კიდევ ერთ დასტურად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

განვლილი მატჩების ტექნიკური შედეგები ასეთია: I ჯგუფი. შვეიცარია-მალტა — 4:0; II ჯგუფი. ინგლისი-თურქეთი — 0:1; III ჯგუფი. ესპანეთი-ირლანდია — 2:1; IV ჯგუფი. უელსი-ბელგია — 1:0.

უჭირთ რუსებს მინი-ფეხბურთი

ჰონკონგში მსოფლიო ჩემპიონატზე მინი-ფეხბურთში 2-2 გამარჯვებით მეოთხედფინალის საგზურები ვადაზე ადრე გაინაღდეს არგენტინისა და პოლონეთის ნაკრებებმა („ა" ჯგუფი).

მეორე ტურში სამხრეთამერიკელებმა მოუგეს მასპინძლებს — 2:1, ხოლო პოლონელებმა — ნიგერიელებს — 5:4.

ბრძოლაში ჩაებნენ „დ" ჯგუფის გუნდებიც. ამერიკელებმა ნოკაუტში გაგზავნეს რუსები — 8:3. ესპანეთს საკმაოდ გაუჭირდა ჩინეთის წინააღმდეგ, მაგრამ საბოლოოდ მაინც იმარჯვა — 6:5.

ჩემპიონი უფრო ძლიერი აღმოჩნდა

ესპანეთის სუპერთასი მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონმა „ბარსელონამ", რომელმაც სტუმრად განმეორებითი მატჩი მოუგო თასის მფლობელს მადრიდის „ატლეტიკოს" — 2:1.

პირველ შეხვედრაში — შინ კატალონელთა უპირატესობა უფრო საგრძნობი იყო — 3:1.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.